სარჯიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 14 დეკემბერი 2006 №289 (2911) ფასი 50 თეთრი

გიორგი კიკნაძე ჩაჯდა და წავიდა

ვაშრან დოლიძისშვილის ფოტო

27 13

გალრი კვირკელიძის ფოტო

საქართველოში ისევ ლოკომოტივი ბზინავს

ეროვნული რაგბი ახალ წელს ძველი ჩემპიონით შეხვდება

„ლოკომოტივი“ ქართული რაგბის უძლიერესი გუნდია და ეს გუშინ „შევარღენზე“ კიდევ ერთხელ გამოჩნდა.

დებიუტანტ ფინალისტს, ღონიერი შერკინების მყოლ „დინამოს“ ბევრი ფავორიტადაც ასახელებდა, მაგრამ გუშინაც დამტკიცდა, რომ რაგბი მარტო ძალისა და კუნთებისგან არ შედგება. მდიდარმა ტრადიციამ, გამოცდილებამ, შემართებამ და მოედნის კიდიდან ძნელად შესამჩნევმა სხვა უამრავმა წმინდა სათამაშო ნიუანსმა ბზის თასი მოქმედ ჩემპიონს შეუნარჩუნა. მეტოქეზე შეკრულ-შეთამაშებულმა „ლოკომოტივმა“ „დინამოს“ ბურთი ისე გაუთამაშ-დაუმიწა, რომ შანსი არ დაუტოვა — ხუთი ლელო გაუტანა და მერელა გაუშვა ერთი, რომელიც მატჩის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე ძლეულ „დინამოს“ პრესტიჟსღა მატებდა. საბოლოოდ 27:13 და „ლოკომოტივი“ ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონია.

ფინალამდე კი მცირე ფინალი, ანუ მესამე ადგილისთვის მატჩი შედგა. ლაზათიან ბურთაობაში „ყოჩებმა“ „ლელოს“ 4 ლელო გაუტანა და, თუმცა მისგან 5 მიიღო, მაინც მოახერხა 32:31 გამარჯვება და ბრინჯაოც მას დარჩა.

„დინამოს“ დაცვა ლოკომოტიველმა გიორგი ასათიანმაც გაარღვია

გალრი კვირკელიძის ფოტო

...და ვინ იქნება რუსთავის თავი?

გალრი კვირკელიძის ფოტო

სარბიელმა რალფ მინგე გადააყენა

ასეთია უსაფრთხოების ფესვები გერმანიაში

— ბოლოს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ახლდით მალტაზე. რას იტყვით იქ ჩატარებულ ორ ამხანაგურ მატჩზე?

— ეს მატჩები ძალიან საჭირო და სასარგებლო იყო. გამოჩნდა, რომ ძლიერი გუნდი გვყავს, ბიჭები პროფესიულად გაიზარდნენ და წინსვლა აშკარად ეტყობათ.

— შოტლანდია, პორტუგალია, თურქეთი — ელიტ-რაუნდის წილისყრაზე რას იტყოდით?

— მართლაც რთულ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ იმედი მაქვს, ჩვენი ფეხბურთელები აქაც გამოიჩენენ თავს. მთავარია, ახლა მათ კარგად დაისვენონ და ახალ ეტაპს ახალი მოტივაციით შეხვდნენ.

— შესაძლოა, 12 სექტემბერს არგენტინასთან ვითამაშოთ ამხანაგური. არადა, 8 სექტემბერს უკრაინასთან ევროშესარჩევი შეხვედრაა — ამის გათვალისწინებით, რამდენად სასურველია 12 სექტემბერს თამაში?

— ეს ჯერ დაზუსტებული არ არის, თუმცა ალბათ დამეთანხმებით, რომ ყველასთვის საინტერესო იქნება არგენტინის საქართველოში ხილვა. ჩვენთვის კი უმთავრესი მაინც, რა თქმა უნდა, 8 სექტემბრის შეხვედრაა...

— ურუგვაისთან მატჩის შემდეგ რომელი ლეგიონერის თამაშს დაესწარით?

— ვცდილობთ, ყოველთვის მხედველობის არეში გვყავდეს ქართველი ლეგიონერები. აი, ახლაც მანქანაში ვზივარ და მიუნხენში მივდივარ მათე ღვინიანიძის სანახავად. ცოტა ხნის წინ ვიყავი ფრაიბურგშიც და ვფიქრობ, წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე ლეგიონერის თამაშს დავესწრები.

— 12 ნოემბერს ქართული კლუბების წარმომადგენლებთან გქონდათ შეხვედრა. კმაყოფილი დარჩით?

— ეს არ იყო მხოლოდ შეხვედრა ეროვნული ნაკრების მწვრთნელებთან, ეს იყო შინაურ გარემოში აზრებისა და იდეების გაცვლა. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი კოლეგების აზრი მათი ქვეყნის ეროვნული ნაკრების თამაშების თაობაზე.

— ანუ, გინდათ თქვათ, რომ ეს „ერთჯერადი აქცია“ არ იყო?

— რა თქმა უნდა, ასეა. ამ შეხვედრაზე ჩვენ იტალიასთან ჩატარებული მატჩი განვიხილეთ, მოვისმინეთ კოლეგების აზრი და შენიშვნები, რასაც აუცილებლად გავიზიარებთ. ასე რომ, ვფიქრობ, ასეთი შეხვედრები წელიწადში რამდენჯერმე გვექნება.

— ურუგვაისთან აქამდე განსხვავებული, 4-4-2 სქემით ითამაშეთ და მოიგეთ. მომავალშიც გამოიყენებთ ამ სქემას?

— გეთანხმებით, 4-4-2-მა მართლაც გაამართლა. როგორ ვითამაშებთ მომავალში, ნამდვილად ვერ გეტყვით, რადგან აქ ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი. უმთავრესი კი ის არის, რა შემადგენლობა გყავს ამა თუ იმ შეხვედრაში. ყველამ იცის, რომ ამ ერთ წელიწადში სრულყოფილი შემადგენლობით ერთხელაც არ გვითამაშია. იმედს ვიტოვებ, რომ მომავალ წელს მაინც შევძლებთ ამის თავიდან არიდებას.

— საქართველოში როდის ჩამოხვალთ?

— საქართველოში წლეულს ალბათ ვერ ჩამოვალ, რადგანაც საშობაო არდადეგებამდე ბევრი საქმე მაქვს. როგორც გითხარით, რამდენიმე ფეხბურთელის თამაშს უნდა დავესწრო, ბატონ ნოდარ ახალკაცსაც უნდა შევხვდე... ასე რომ, 2007 წელს გეწვევით.

— საშობაო არდადეგების გატარებას სად აპირებთ?

— წლეულს იმდენი ვიმოგზაურე, რომ ამ ლამაზი დღესასწაულის გატარება საკუთარ ოჯახსა და მეგობრებთან მსურს. ასე რომ, შობას გერმანიაში, ოჯახურ გარემოში შევხვდები.

ნინო სილაგაძე

გადრი ჯიბილაძის ფოტო

19-წლამდელთა ნაკრები, არგენტინასთან შესაძლო სპარინგი, ლეგიონერები, სანაკრებო ამბები — ამ თემებზე გუშინ საქართველოს ეროვნული გუნდის მწვრთნელ **რალფ მინგეს** ვესაუბრეთ. მინგე ახლა გერმანიაშია, გუშინ რომ შევეხმიანეთ, საჭესთან იჯდა და მიუნხენში მიიჩქაროდა, თუმცა ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა: უსაფრთხოების მიზნით მანქანა გზიდან გადააყენა და...

UEFA CUP. უეფას თასი 2006-2007

ჯგუფური ეტაპი. IV ტური

E ჯგუფი

გლეძბერნი 1:0 ნანსი
1:0 ნილი (90)

ფეიენოორდი 3:1 ვისლა
1:0 ჰოფსი (16), 1:1 ბროუეკი (23), 2:1 დე გუზმანი (41), 3:1 ხარისტეასი (67)

საბოლოო ცხრილი

გლეძბერნი	4	3	1	0	6:1	10
ნანსი	4	2	1	1	7:4	7
ფეიენოორდი	4	1	2	1	4:5	5
ვისლა	4	1	0	3	6:8	3
ბაზელი	4	0	2	2	4:9	2

F ჯგუფი

ესპანიოლი 1:0 აუსტრია
1:0 პანდიანი (57)

ზულტე-ვარეგემი 0:3 აიაქსი
0:1, 0:2 ჰუნტელაარი (4, 56), 0:3 ჰეიტინგა (83)

საბოლოო ცხრილი

ესპანიოლი	4	4	0	0	11:2	12
აიაქსი	4	2	1	1	6:2	7
ზულტე-ვარეგემი	4	2	0	2	9:11	6
სპარტა	4	1	1	2	2:5	4
აუსტრია	4	0	0	4	1:9	0

G ჯგუფი

პსჟ 4:0 პანათინაიკოსი
1:0, 2:0 პაულეტა (29, 47), 3:0, 4:0 ბ. კალუ (51, 54)

ჰაპოელი 1:1 ბოლესლავი
1:0 ბარდა (26), 1:1 კისელა (39)

საბოლოო ცხრილი

პანათინაიკოსი	4	2	1	1	3:4	7
პსჟ	4	1	2	1	6:4	5
ჰაპოელი	4	1	2	1	7:7	5
რაპიდი	4	0	4	0	3:3	4
ბოლესლავი	4	0	3	1	2:3	3

H ჯგუფი

ფენერბაჰჩე 2:2 აინტრახტი
0:1, 0:2 ტაკაპარა (8, 52), 1:2 თუნჯაი (63), 2:2 სემიჰი (83)

პალერმო 1:1 სელტა
0:1 ბაიანო (59), 1:1 ტედესკო (70)

საბოლოო ცხრილი

ნიუკასლი	4	3	1	0	4:1	10
სელტა	4	1	2	1	4:4	5
ფენერბაჰჩე	4	1	1	2	5:4	4
პალერმო	4	1	1	2	3:6	4
აინტრახტი	4	0	3	1	4:5	3

ესპანეთი

თასის მეთექვსმეტედფინალი

საპასუხო მატჩი

ლევანტე 0:დდ. (2:43) ატლეტიკო (1:0)

არგენტინა

აპერტურა

ოქროს მატჩი

ბოკა ხუნიორსი 1:2 ესტუდიანტესი

ინგლისი

პრემიერლიგა. გადადებული მატჩები

ჩელსი 1:0 ნიუკასლი

უიგანი 0:1 არსენალი

მსოფლიოს 2006 წლის კლუბთა ჩემპიონატი

ნახევარფინალი

ალ აჰლი (ეგვიპტე) 1:2 ინტერნასიონალი (ბრაზილია)

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტ გურამ რუხაძეს

მამის

გარდაცვალების გამო

სკონტო ყველას მირჩევნია

ნაკრების ფორმიან გამეზარდაშვილს კლუბის ფორმა ჯერ არ ჩაუცვამს

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე ქუთაისის „ტორპედოს“ მცველი **დავით გამეზარდაშვილი** იყო. მან მთელი პირველი წრე მაღალ დონეზე ჩაატარა და ეროვნული ნაკრების მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერის ყურადღებაც დაიმსახურა. გამეზარდაშვილის კარგი თამაში ჩვენი ჩემპიონატის ლიდერ გუნდებსაც არ გამორჩენიათ და ტორპედოელს მსურველების რიგი დაუდგა. „ოლიმპი“, „ზესტაფონი“, „ამერი“ — ეს გუნდები გამეზარდაშვილის გადაბირებას კი ცდილობენ, მაგრამ თავად ფეხბურთელი რიგის „სკონტოს“ საკუთრებაა და ჯერ ძნელია თქმა, სად ითამაშებს ქუთათურთა კაპიტანი ახალი წლიდან...

გურამ დოლიძეს ვიდეოს ფოტო

— შვებულებაში ხარ და ალბათ ახლა ისვენებ...

— ეგრეა. ვარჯიშს 20 დეკემბრიდან დავიწყებ, შემდეგ კი გუნდს შევუერთდები.

— საინტერესოც ეგ არის, რომელ გუნდს? ვიცით, რომ რამდენიმე ვარიანტი გაქვს...

— მართლა ძალიან ხშირად მეხმიანებიან. რამდენიმე ვარიანტია, მაგრამ ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის — ისევ რიგის „სკონტოს“ ვეკუთვნი.

— „ოლიმპი“, „ზესტაფონი“, „ამერი“ — შენი გადასაწყვეტი რომ იყოს, რომელს აირჩევდი?

— მე მაინც წასვლა და „სკონტოში“ თამაში მირჩევნია.

— ასეთი დიდი განსხვავებაა ლატვიის და საქართველოს ჩემპიონატებს შორის?

— აქ გუნდები ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი — ძლიერები და სუსტები. რამდენიმე თამაშს მთელი ძალისხმევით თამაშობ, რამდენიმეში კი ეს სულ არ გჭირდება. ლატვიაში ასეთი რამ არ არის — ყველა მეტოქესთან სრული დატვირთვით თამაშობ და ვფიქრობ, ღონეც უფრო მაღალია.

— თუმც საქართველოში დაბრუნებით ალბათ მაინც კმაყოფილი იქნები — ნაკრებში გამოგიძახეს...

— ეს ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩემთვის. მართალია, ურუგვაისთან არ მითამაშია, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ეროვნული გუნდის ფორმა ჩავიცვი. იმედი მაქვს, ნაკრებში მალე ვითამაშებ და მის წარმატებაში ჩემი მოკრძალებული წვლილიც იქნება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

პირველი გუნდის პირველი მწვრთნელი გაუშვეს!

ოლიმპმა გიორგი კიკნაძეზე უარი თქვა

უცნაურია, მაგრამ ფაქტია — საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ლიდერს მთავარ მწვრთნელს უცვლიან — გიორგი კიკნაძე რუსთავის „ოლიმპის“ თავკაცი აღარ არის.

„ოლიმპი“ 30 წლის კიკნაძისთვის პირველი გუნდი იყო, დამოუკიდებლად რომ გაწვრთნა და ჩემპიონატში უმალ მაქსიმალურ შედეგს მიაღწია — გუნდი შემოდგომის ჩემპიონი გახადა. ხოლო ის, რომ „ოლიმპმა“ დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის „ყაზბეგის“ გათამაშების ჯგუფური ეტაპი ვერ დაძლია, იმის ლოგიკად ალბათ ვერ გამოდგება, რომ ჩემპიონატის ლიდერი გუნდიდან მწვრთნელი წავიდა.

პირველი წრის დასრულების შემდეგ კიკნაძეს „ოლიმპთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და ხელშეკრულების გაგრძელება-არგაგრძელებაზე მასთან მოლაპარაკებას „ოლიმპის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის წარმომადგენელი ბადრი ქარქაშაძე აწარმოებდა. გუშინ კი ყველაფერს წერტილი დაესვა — კიკნაძე „ოლიმპში“ აღარ იმუშავებს.

— ახალი კონტრაქტი იყო გასაფორმებელი და მე და კლუბი პრობებზე ვერ შევთანხმდით. ჩემთვის ხელფასის გაზრდაზე იყო ლაპარაკი, თუმც არარეალურ თანხას ნამდვილად არ ვითხოვდი. გული ძალიან დამწყდა, „ოლიმპიდან“ წამოსვლა რომ მომიხდა — გვითხრა გუშინ კიკნაძემ.

და ვინ უხელმძღვანელებს „ოლიმპს“ სეზონის მეორე ეტაპზე? „ოლიმპის“ კიდევ ერთმა დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმა გვითხრა, რომ ახალი მწვრთნელის ვინაობა 18 დეკემბერს გაცხადდება.

შევიტყვეთ, რომ „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელობის ყველაზე რეალური კანდიდატი ქუთაისის „ტორპედოს“ მწვრთნელთა საბჭოს თავჯდომარე, გამოცდილი რევაზ ძოძუაშვილია — კულუარებში ძოძუაშვილის „ოლიმპში“ შესაძლო მისვლაზე ჯერ კიდევ გუნდიდან კიკნაძის წასვლამდე საუბრობდნენ და ამის თაობაზე „სარბიელი“ რამდენიმე დღის წინაც წერდა.

კიდევ ერთ სავარაუდო კანდიდატად ოთარ კორღალიძეც დასახელდა, თუმც ძოძუაშვილის შანსი გაცილებით მაღალი ჩანს...

დავით თავართქილაძე

ბადრი ქარქაშაშვილის ფოტო

ბადრი ქარქაშაშვილის ფოტო

კობა შალამბერიძე კარიერას ალბათ „ბათუმში“ გააგრძელებს

ერთი დინამო, ორი, სამი, ოთხი...

ბათუმის თბილისური ფიქრები

„ბათუმი“ მეორე წრეში მძლავრ გუნდად გადაიქცევა და ლიდერთა ჯგუფს შეუტევსო, არარეალურია. სავარაუდოდ, გუნდს არც უმაღლეს ლიგაში დარჩენა უნდა გაუჭირდეს და თითქოს მოტივაციაც ნულამდე ეცემა, თუმცა „ბათუმი“ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული გუნდი იქნება უმაღლესში და ამ მხრივ უთუოდ იწვევს ინტერესს.

და რა ცვლილებებია ზღვისპირელთა შემადგენლობაში? ალეკო კოშკაძისა და ამირან მუჯირის წასვლის ამბავი გეცოდინებათ, დანარჩენი კი გუნდის თავკაცმა ამირან გოგიტიძემ გვითხრა...

— თბილისის „დინამო 2“-დან ვაპირებთ სამი ახალგაზრდა ფეხბურთელის გადმოყვანას. ესენი არიან მცველი ბარამიძე, ნახევარმცველი ჩარგეიშვილი და თავდამსხმელი კერესელიძე. როგორც იცით, უჩა ლობჟანიძეც „დინამოდან“ გვყავდა იჯარით და დიდი სურვილი გვაქვს, ისევ ჩვენთან დარჩეს. დაიტოვოს ლობჟანიძე თუ ისევ გაანათხოვროს, ამას დუშან უჰრინი გადაწყვეტს. არც ერთი კონტრაქტიანი მოთამაშის გაშვებას არ ვაპირებთ“.

გოგიტიძემ გვითხრა, პირველი ლიგიდანაც გვინდა სამი ფეხბურთელის დამატებაო და ერთ-ერთი მათგანი აგარის „მეშაქრეს“ 22 წლის ნახევარმცველი კობა შალამბერიძეა, რომელიც წინა სეზონში ქუთაისის „ტორპედოში“ და თბილისის „სპარტაკში“ თამაშობდა, შარშანწინ კი „დინამოშიც“ ირიცხებოდა.

რაც შეეხება მოსამზადებელ ეტაპს...

„5 იანვარს შევიკრიბებით. ძირითადად აქვე, ბათუმში მოვემზადებით, თუმცა თურქეთშიც წავალთ ამხანაგური მატჩების სათამაშოდ. სირთულეს გვიქმნის ბაზის მოუწყობლობა, „ანგისას“ სტადიონზე გვინდა ვარჯიშების ჩატარება, მაგრამ იქ მინდორი არ ვარგა და კარგი იქნება, თუ „დინამოს“ სტადიონიდან გადავიტანთ საფარს“.

ამირან გოგიტიძემ ისიც გვითხრა, ფეხბურთელებმა საქართველოს თასზე მოგებებისთვის პრემია ჯერ ვერ მიიღეს და ხელფასის ნაწილიც გასაცემია, თუმცა დაგვიანება შემთხვევითობის ბრალია და სხვა ამ მხრივ საწუწუნო არაფერი გვაქვსო.

ილია ნანოგაშვილი

ზესტაფონის დუბლი რეალურია

გიორგი ჭელიძე: მინგეს არ მოვწონვარ

მიმზიდველად თამაშობსო, რომ იტყვიან ხოლმე, „ზესტაფონის“ გიორგი ჭელიძე სწორედ ისეთი მანერის ფეხბურთელია. 22 წლის ნახევარმცველი პირველად „თბილისში“ გამოჩნდა, სადაც ერთ-ერთი გამორჩეული იყო და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც ჩაატარა რამდენიმე დასამახსოვრებელი მატჩი. შემდეგ გიორგის ჩავარდნა ჰქონდა, თბილისის „დინამოს“ ძირითადში ვერ ხვდებოდა, ახლა კი „ზესტაფონშია“ და ჩვენც პირველი წრის შეფასება ვთხოვეთ...

— პირველ წრეში შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?

— მთლიანობაში კი. თვითონ „ზესტაფონისთვის“ იყო კარგი პირველი წრე, მხოლოდ ერთი მატჩი ჩავაგდეთ, როცა „ვიტ ჯორჯიასთან“ 0:3 წავაგეთ. ამ თამაშის გარდა გოლი არ გაგვიშვია, თან ტურიდან ტურამდე ვუმატებდით.

— „ზესტაფონი“ იმ ხუთ გუნდს შორისაა, ჩემპიონობისთვის რომ იბრძვიან. ყველაზე მეტ ხიფათს რომელი გუნდისგან ელი?

— „ოლიმპს“ გამოვარჩევ. ყველაზე მეტად ამ გუნდთან გაგვიჭირდა. ისე კი, ცხადია, „ზესტაფონს“ უმაღლესი მიზნები აქვს. არა მარტო ჩემპიონობა, თასის მოპოვებაც გვინდა და ვფიქრობ, ეს რეალურია.

— ნახევარდაცვაში ყველა ადგილზე გითამაშია და არ გიჭირს ხოლმე გადაწყობა?

— შეჩვეული ვარ. „ზესტაფონში“ ხან შუაში ვარ, ხან მარჯვენივ, რამდენჯერმე მარცხნივაც ვითამაშე.

— გუნდი როდის იკრიბება?

— 20 დეკემბერს, ხოლო ნაახალწლევს ან კვიპროსზე წავალთ, ან ანთალიაში. ჯერ ზუსტად არ ვიცი...

— ბრაზილიელებმა, ვიეირამ და სანტოსმა შესაშჩნევად გააძლიერეს „ზესტაფონი“?

— კი, კარგი ფეხბურთელებიც არიან და კარგი პიროვნებებიც. ქართულადაც ვასწავლეთ რაღაც სიტყვები... ისე, საფეხბურთო ენა ხომ ყველამ იცის, იოლად ითვისებენ ყველაფერს.

— ლამის ყველა ქართველ ფეხბურთელს უცხოეთისკენ მიუწევს გული. რაიმე წინადადება ხომ არ გაქვს?

— რეალური არაფერი. კარგი ტრანსფერისთვის მარტო კარგი ფეხბურთელობა არ კმარა, ყისმათიც საჭიროა. ისე კი, „ზესტაფონშიც“ კმაყოფილი ვარ.

— გიორგი ჭელიძე გიორგი დევდარიანის დროინდელ „თბილისში“ და ახლა — როგორ ფიქრობ, მაშინდელთან შედარებით მოუმატე?

— მგონი, ცოტა მოვუმატე, თუმცა ჩემი თავით ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ. მიჭირს შედარება...

ბადრი ქარქაშაშვილის ფოტო

— ორი-სამი წლის წინ ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი იყავი, ამ შემოდგომაზე კი ლიტვასთან და სერბეთთან მატჩებისთვის არ გამოგიძახეს...

— რას ვიზამ, ეტყობა, მწვრთნელი ჩემ მიმართ სიმპათიით არ იყო განწყობილი. უბრალო მომენტია — შეიძლება, მწვრთნელს არ მოსწონდე და მორჩა...

— რალუ მინგემ შენზე თქვა, კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ფიზიკურად უნდა მომაგრდესო...

— ფიზიკურად ასეთი სუსტიც არ ვარ. საწყისად არ ვამბობ, მაგრამ რალუ მინგე „ზესტაფონის“ ერთ-ერთ თამაშზე მოვიდა, სადაც ორი გოლი გავიტანე. მაშინ სანაკრებო მატჩები ახლოვდებოდა, მაგრამ მინგემ მაინც არ გამომიძახა.

ილია ნანოგაშვილი

სურკისის მუქარა შვიდეულია

ალადაშვილი ტრანსფერზე

კიევის „დინამოს“ პრეზიდენტმა იგორ სურკისმა მუქარის შესრულება დაიწყო და გუშინ შვიდი ფეხბურთელი დააყენა ტრანსფერზე — მარის ვერპაკოვსკისს, გეორგი პეევს, ანდრეი ობერემკოს, კრისტიან ირიმიას, იგორ ჰეტკოვიჩს, გორან გავრანჩიჩს და კახა ალადაშვილს ახალი გუნდის მოძებნა მოუწევთ.

„ეს არ არის საბოლოო სია. ფეხბურთელებისგან განსხვავებით, მე შვებულებაში არ ვარ, ახლაც ვმუშაობ და შესაძლოა, კიდევ რამდენიმე ახალი გვარი დავასახელო“ — განაცხადა სურკისმა.

ალადაშვილი რამდენიმე დღის წინ დაუბრუნდა „დინამოს“, საიდანაც დნეპროპეტროვსკის „დნიპროში“ გახლდათ განათხოვრებული. ოჯარის ვადა ახლახან ამოიწურა და „დნიპრომ“ მისი გაგრძელება აღარ ისურვა, კიევში დაბრუნებული ალადაშვილი კი უმალ ტრანსფერზე მოხვდა. კახა კიევის „დინამოში“ შარშან გადავიდა თბილისის „დინამოდან“, თუმცა უმეტესად დუბლებში უწევდა თამაში...

როგორც შევიტყვეთ, საქართველოს ნაკრების მარჯვენაფლანგელს რამდენიმე უკრაინული და რუსული ვარიანტი აქვს, ოღონდ ამ შემთხვევებშიც ოჯარაზეა ლაპარაკი. სურკისმა კი ისიც თქვა, რომ ამ ფეხბურთელების თაობაზე ნებისმიერ წინადადებას განიხილავს.

გავიხსენოთ, რომ კიევის „დინამოში“ ალადაშვილის მერე ორი ქართველი გადავიდა — ოთარ მარცვალაძე და დავით იმედაშვილი.

კახა შალამბერიძე

დავით კოვზირიძე, გიორგი ხაჩიძე და ირინა ეგაძე

ახალი 2007 წელი ნარკოტიკების გარეშე

15-19 დეკემბერს ვერის პარკში ჩატარდება ტურნირი მინი-ფეხბურთში „ახალი წელი ნარკოტიკების გარეშე“, რომელშიც 12 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

ტურნირის ორგანიზატორები არიან საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს ეროვნული ნაკრების ფან-კლუბი, საქართველოს ეზოს ფეხბურთის ასოციაცია და კომპანია „ელიტ ელექტრონიქსი“.

ტურნირი პირველად შარშან ჩატარდა და მაშინ გამარჯვებული შინაგან საქმეთა სამინისტრო გახდა, რომელიც წლეულს მიზეზთა გამო არ თამაშობს.

მონაწილეები კი ესენი არიან: საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს ეზოს ფეხბურთის ასოციაცია, საქართველოს ეროვნული ნაკრების ფან-კლუბი, „ელიტ ელექტრონიქსი“, ჟურნალისტები, „ელექტროკავშირი“, „ანაბეჭდი“, სახალხო დამცველი, საქართველოს ბანკი, „თელიანი ველი“, „აქსისი“.

გუშინ ტურნირის ორგანიზატორებმა, საქართველოს ეროვნული ნაკრების ფან-კლუბის ხელმძღვანელმა გიორგი ხაჩიძემ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საზოგადოებასთან ურთიერთობებს მენეჯერმა დავით კოვზირიძემ და „ელიტ ელექტრონიქსის“ პროექტების მენეჯერმა ირინა ეგაძემ პრესკონფერენცია გამართეს...

გიორგი ხაჩიძე: „ძიხარია, რომ ტურნირი, რომელიც შარშან პირველად ჩატარდა, ტრადიციული გახდა და წლეულს მეორედ გაიმართება. თან მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა, რაც თვალნათლივ ადასტურებს იმას, რომ შეჯიბრისადმი ინტერესი დიდია. ვფიქრობ, მომავალი გათამაშება არანაკლებ საინტერესო იქნება. სხვადასხვა მიზეზია გამო წლევანდელ გათამაშებაში ვერ ითამაშებს შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდი.“

ირინა ეგაძე: „ჩვენი კომპანია ყოველთვის მხარში უდგას ასეთ წამოწყებებს და გამონაკლისი არც აქვერად დავიშვია — როგორც კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან შეგვეხმიანნენ, უმალ დავთანხმდით. „ელიტ ელექტრონიქსი ყოველთვის მიესალმება ტურნირებს, რომლებიც ცხოვრების ჯანრთელი წესის პროპაგანდას ეწევიან.“

აქვე გეტყვით, რომ გათამაშების პირველ ეტაპზე 12 გუნდი ოთხ სამგუნდა ჯგუფში გადანაწილდება. ჯგუფების გამარჯვებულები ნახევარფინალში შეხვდებიან ერმანეთს.

და ერთიც: ტურნირს შვიდი სპონსორი ჰყავს — საქართველოს ბანკი, „აქსისი“, „ელექტროკავშირი“, „ანაბეჭდი“, სახალხო დამცველი, „თელიანი ველი“, „ტექს ჯგუფი“.

კახა შალამბერიძე

მუმუს გოლი მეხუთეა

ამისულაშვილი და მენთეშაშვილი რეგრესირებულებში მოხვდნენ

სამარის „კრილია სოვეტოვის“ ქართველ ლეგიონერ დავით მუჯირს გაზეთ „სპორტ-ექსპრესის“ გამოკითხვით ლაურეატობა კიდევ ერთ ნომინაციაში შეეძლო — „წლის საუკეთესო გოლი“ — „მუმუ“ მეხუთე ადგილზე გავიდა.

სტუმრად, ყაზანის „რუბინის“ კარში 56-ე წუთზე 20 მეტრიდან მიწაზე დაუშვებლად შორეულ ცხრიანში გატანილი ბურთი მეხუთე ადგილს დასჯერდა.

ამავე ნომინაციაში პრეტენდენტი კიდევ ერთი ქართველი იყო — ლევან გვაზავა, თუმცა ნალჩიკის „სპარტაკის“ ნახევარმცველის მიერ „სატურნის“ კარში შორიდან გატანილი გოლი ხუთეულში ვერ მოხვდა.

რუსეთის პრემიერლიგაში ლაურეატების და გამორჩეული ფეხბურთელების გარდა, სამწუხაროდ, ისეთებიც გვყავდა, რომლებმაც რუსი ჟურნალისტების იმედები ვერ გაამართლეს. „ყველაზე რეგრესირებული ფეხბურთელების“ ათეულში ორი ქართველი მოხვდა — ალექსანდრე ამისულაშვილი და ზურაბ მენთეშაშვილი. საინტერესოა, რომ ამ ათეულში მხოლოდ რუსეთის პრემიერლიგიდან გავარდნილი იაროსლავლის „შინიკის“ ფეხბურთელები მოხვდნენ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

კოკა მიკუჩაძე: უმაღლეს ლიგაში ბერშევათი შევალ

ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

ისრაელის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში არც ერთი ქართველი ფეხბურთელი არ თამაშობს, პირველ ლიგაში კი სამი ჩვენებურია და მათგან კოკა მიკუჩაძე უდავოდ გამოირჩევა. 26 წლის ქართველი ფორვარდი ბერშევას „ჰაპოელში“ თამაშობს და უმაღლესში გადასვლას ეშურება — გუნდი მესამე ადგილზეა, კოკას კი 5 გოლი და 3 საგოლე პასი აქვს აქტივში.

„უმაღლესში ორი გუნდი გადადის და იმედია, ერთ-ერთი ჩვენ ვიქნებით. მეორეადგილოსანი „ბნეი სახნინი“ ოთხი ქულით გვისწრებდა, მაგრამ წინა კვირას სტუმრად 3:1 მოვუგეთ და ახლა სხვაობა მინიმალურია. ამ მატჩში გოლი და საგოლე პასი გავაკეთე. ლიდერ „კირ შმონასთან“ კი სამ ქულას ვაგებთ. უმაღლესისთვის სერიოზულად მხოლოდ სამი გუნდი ვიბრძვით, დანარჩენებიც ნორმალურად თამაშობენ, მაგრამ ქულებში მაგრად ჩამოგვრჩებიან“ — გვითხრა მიკუჩაძემ.

ბრიტანეთისა არ იყოს, ისრაელშიც თამაშობენ ახალი წლის დღეებში.

კოკამ გვითხრა, არდადეგებისთვის ვერც ვიცლით, მხოლოდ შობამდეა მცირე შესვენებაო.

ორიოდ დღის წინ მიკუჩაძის გუნდმა კომერციული ტურნირის, „ტოტო კაპის“ მეოთხედფინალში 5:0 მოიგო, ჩვენიანი კი შეცვლაზე შევიდა და ერთი გოლი შეაგდო.

„აქ სულ ძირითადში ვთამაშობ, უბრალოდ, სუსტ გუნდს ვხვდებოდით, თან კვირას პრინციპული შეხვედრა გვაქვს და მწვრთნელმა დამასვენა“.

რაც შეეხება კლუბის შესაძლო შეცვლას, კოკამ გვითხრა, ისრაელის უმაღლესი ლიგის გუნდში გადასვლა პრობლემა არ იქნება, მაგრამ ჯერ არ ვჩქარობ — დიდი შანსია, ეს ბერშევას „ჰაპოელშიც“ შევძლოო.

ილია ნანოგაშვილი

რეხვიაშვილი ფუტსალისტია

ერთ დროს საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ალექსანდრე რეხვიაშვილი ფუტსალში გადავიდა — მან უკვე ჩაატარა ერთი მატჩი რიგის „ვალეჟში“.

რეხვიაშვილმა სეზონი ლატვიის უმაღლესლიგელ „იურმალაში“ ჩაამთავრა და შვებულებაში იყო, თუმცა „ვალეჟის“ წინადადებას სიამოვნებით დათანხმდა და ახლა რიგის ფუტსალის ჩემპიონატში თამაშობს — მისი გუნდი მუხეთე ადგილზეა ათგუნდა ჩემპიონატში.

ლატვიელი ჟურნალისტების ცნობით, რეხვიაშვილი ფუტსალში დამკვიდრებას არ აპირებს — მოსამზადებელი ეტაპის დაწყებისთანავე დაუბრუნდება „იურმალას“.

კახა შალამბერიძე

პაუზა, რომელმაც კაცობრიობა შექმნა

როგორია, ქალს ცხრა შვილი რომ ჰყავს და ერთი მათგანი ყოველდღე შინ ამოთხვრილი ბრუნდება? ასეთ ტანჯვაში იყო „ჩელსის“ ჰოლანდიელი ხალიდ ბულარუზის დედა

AFP

„დედას არ უნდოდა, რომ შინიდან გავსულიყავი. სულ ამას მეუბნებოდა: არ გახვიდე, თორემ ვიცი შენი ამბავი, მთელ ტანსაცმელს გაჭუჭყიანებ — უამბო სააგენტო „როიტერს“ მშვიდად მოლაპარაკე ბულარუზმა — ასე რომ, ხანდახან დედის ნებართვის გარეშე მიხდებოდა შინიდან გასვლა. დიდი მატყუარა ბავშვი ვიყავი“.

ხუთი წლის ბულარუზი, თურმე, ტანად პატარა ყოფილა, მაგრამ ქუჩაში ათი წლისებთან თამაშობდა.

„ძალიან მიყვარდა მოწინააღმდეგეების მოტყუება და გოლების გატანა“ — იგონებს იგი.

13 წლისას „აიაქსმა“ ხელი მოკიდა და მეტოქის კარის მიმდებარე ტერიტორიიდან თავისი კარისკენ დაქაჩა. შედეგად, 22 წლის მაროკოელ ემიგრანტთა შვილი ჰოლანდიის ნაკრების წევრია.

აგვისტოში ხალიდ ბულარუზმა მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს კლუბთან მოაწერა კონტრაქტს ხელი, „ჩელსიში“ გადავიდა და ისეთ ამოცანას შეეჭიდა, როგორიც ინგლისში გუნდის ზედიზედ მესამედ გაჩემპიონება და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაა. გაზეთებში ეწერა, რომ ლონდონელებმა გერმანული „ჰამბურგისგან“ იგი 12 მილიონ ევროდ იყიდეს. ტრანსფერის შემდეგ „ჩელსის“ მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ ამბობდა: „ხალიდი ის ადამიანია, რომლის მსგავსთაც ვეთაყვანები. მისი ცხოვრება იავარდით არ ყოფილა მოფენილი, მაგრამ დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის წევრია. როგორ მიაღწია მან ამას? დიდი შრომის, ამბიციის, საკუთარი თავის რწმენისა და ნიჭის წყალობით“.

მართლაც, „ჩელსის“ სიმდიდრე და ბრწყინვალება ძალიან შორს არის იმისგან, ბულარუზი როტერდამის ახლოს, მაასლიუსის ქუჩის ფეხბურთში რომ იყო ნაჩვევი.

თან, საინტერესოა, რომ ბულარუზს არც ფეხბურთში გაუვლია იოლი გზა. მაგალითად, ის ჯერ კიდევ „აიაქსის“ ყმაწვილთა გუნდში ავჯანყდა ვარჯიშის პირდაპირი და უფანტაზიო მეთოდების წინააღმდეგ.

„მათ ჩემთვის დრიბლინგის წართმევა, ტექნიკის წართმევა უნდოდათ. როდესაც შენს წინაშე 13 წლის ბიჭია, კი ბატონო ასწავლე, მაგრამ თამაშის სიამოვნებას ნუ წაართმევ“.

მან ჯერ კიდევ ბიჭობაში, 16 წლამდე მოირბინა ბევრი გუნდი, „ალკმაარში“ ყოფნისას კი მამა გარდაეცვალა.

„ძალიან განვიცდიდი, ემოციური ხასიათის პრობლემები მქონდა“ — თქვა ბულარუზმა და დასძინა, რომ იმხანად გაზეთები ძნელად საურთიერთო და ჩხუბისთავ ბიჭად ხატავდნენ.

სულ საკუთარი თავის დაცვა მიხდებოდა, ოღონდ მუშტებისგან კი არა, სიტყვებისგან. უნდოდათ „ცუდ ბიჭად“ გამოვეყვანეთ, მაგრამ ასეთი არ ვიყავი“.

საბედნიეროდ, მარტინ იოლის ხელმძღვანელობით (იოლი დღეს „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ მწვრთნელია) ბულარუზმა „ვალვაიკში“ თავი გამოიჩინა და „ჰამბურგში“ გადავიდა, სადაც „კაცობრიობა ხალიდი“ შეარქვეს და შერჩა კიდეც ეს სახელი.

„ჟურნალისტებს ვხვდებოდი. მათ მკითხეს როგორ თამაშობო, მე კი იმხანად გერმანული კარგად არ ვიცოდი და ვერ მოვახერხე იმის თქმა, რომ ჩემი თავდამსხმელის კონტროლს მთელი მატჩის განმავლობაში ვცდილობ. მოკლედ, პატარა პაუზა წარმოიქმნა, რის შემდეგაც ვიღაცამ, მდგომარეობიდან გამოსასვლელად მკითხა, ალბათ, შენი თავდამსხმელის შეჭმას ცდილობო და მეც დავეთანხმე“.

ჰოდა, მეორე დღეს ყველა გერმანულ გაზეთში ეწერა ფრაზა „ხალიდ დერ კანიბალ“.

ხალიდ ბულარუზმა გერმანიაში მართლაც უკომპრომისო მცველის სახელი დაიმკვიდრა და მარტო გერმანია რაა, ახლახან, მუნდიალზე, პორტუგალიასთან შეხვედრაში გახლდათ ერთი იმ ოთხთაგანი, მოედნიდან რომ გააძევეს — ბულარუზმა ჯერ კრიშტიანუ რონალდუ წააქცია, მერე ლუიშ ფიგუ.

ბულას ერთი თვისება აქვს, სადმე რომ შედის, ყველას ხელს ართმევს. ტაქსიშიც კი მძღოლს ხელს ართმევს, მაგრამ იმის კი ეშინია, რომ მისმა თავისებურმა რეპუტაციამ ინგლისელ მსაჯებზე შეიძლება მის საწინააღმდეგოდ იმოქმედოს.

„ინგლისში ხომ არაფერი გამიფუჭებია?“ — კითხულობს მცველი, რომელიც ამ სეზონში 14 თამაშში სამჯერ გააფრთხილეს.

ბულარუზს ძალიან უნდა უკლებლივ ყოველ შეხვედრაში ითამაშოს, მაგრამ „ჩელსი“ „ჩელსია“ — დაცვის ცენტრში ჯონ ტერი და რიკარდუ კარვალიუ თამაშობენ, ფლანგებზე კი გვარიანი კონკურენციაა.

„ძნელია, როდესაც არ თამაშობ. იმისათვის, რომ ყოველ შეხვედრაში 11 კაცში მოხვდე, დიდი მუშაობაა საჭირო. ამისათვის ხმა არ უნდა ამოიღო და ვარჯიშსა თუ თამაშში ბოლომდე დაიხარჯო“.

სხვათა შორის, ბულა „ჩელსის“ ვარჯიშებმა მოხიბლა და ამბობს, რომ აქ, ყოველ ცისმარე დღე რაღაცას სწავლობს.

„ჰამბურგში ყველაფერი გაცილებით იოლი იყო. წააგებ? არა უშავს, შემდეგზე შეეცადე მოიგო. აქ, წაგება არ შეიძლება, ყოველი მატჩი შენი გამარჯვებით უნდა დამთავრდეს და მგონი ეს უკეთესია“.

და ჩემპიონთა ლიგაში? მაურინიუს ბულარუზი ექვსიდან ხუთ თამაშში მოედანზე ჰყავდა, მათ რიცხვში „ბარსელონას“ წინააღმდეგ გამართულ ორივე მატჩში და... „ჩელსიმ“ ჯგუფში პირველი ადგილი მოიპოვა.

„ვისაც შევხვდი მათ შორის ყველაზე ძნელი რონალდინიოს წინააღმდეგ გახლდათ თამაში. რომ გგონია აკონტროლებ, მაშინაც კი ხიფათს უნდა ელოდო. მოკლედ, მის წინააღმდეგ ორი ვარიანტია, ან უნდა შეშინდე და მაშინ ვერ ითამაშებ, ან გამოწვევა მიიღო, აყვე და ბრძოლისგან სიამოვნება მიიღო. მე ასეთი მეტოქეების წინააღმდეგ მეორე გზას ვირჩევ“.

პაპუნა კედია

რიკარდო ტეიშეირა და დუნგა

კრიმინალური მასპინძელი

სად ეპატიჟებით მსოფლიოს?

ბრაზილიამ ფიფაში ოფიციალური განაცხადი შეიტანა — მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონთა ქვეყანა იმედოვნებს, რომ 1950 წლის შემდეგ პირველად მიიღებს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას. ბრაზილიელები 2014 წლის მუნდიალზე ფიქრობენ. ხსენებული განაცხადი ფიფას შეფების წინაშე, ტოკიოში, ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდუ ტეიშეირამ და მისი დირექტორატის სხვა წევრებმა წარადგინეს

„ჩვენ ფორმალურადაც დავაფიქსირეთ, რომ 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა გვსურს — ამბობს ფიფა-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ტეიშეირა, რომელიც იმავდროულად ამ ორგანიზაციის აღმასკომის წევრიც არის — ეს ბრაზილიელი ხალხისთვის საგანგებო მოვლენა იქნება“.

გადაწყვეტილებას ფიფა 2007 წლის ნოემბერში გამოაცხადებს.

მოგეხსენებათ, ფიფას ახალი პოლიტიკის თანახმად, მსოფლიოს ჩემპიონატებს კონტინენტებმა მონაცვლეობით უნდა უმასპინძლონ, ხოლო 2014 წელს სამხრეთ ამერიკის ჯერია. ამასთან, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ თარიღისთვის სამხრეთ ამერიკული ქვეყნებიდან ერთადერთი, ვისაც მუნდიალის მასპინძლობა ენდომება ბრაზილია იქნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეძლებს თუ ვერა, მსოფლიოს ჩემპიონატს მაინც ბრაზილიაში ჩაატარებენ. დიახ, აქ საქმე შეძლებაზეა და ამაოდ არ უთქვამს ფიფა-ს პრეზიდენტ ზეპ ბლატერს, თუ სამხრეთ ამერიკის ქვეყნები 2014 წლის ჩემპიონატის სამასპინძლოდ ვერ მოემზადებიან, ჩემპიონატი ჩრდილოეთით გადაიწევსო.

იცით, რას ამბობენ კრიტიკოსები? ისინი ამბობენ, რომ დღეს მთელ ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩის სამასპინძლოდ მზად მხოლოდ ერთი სარბიელი, კურიტიბას „არენა დე ბაიშადა“ არისო. სერიოზული განსჯის საკითხია ხალხის უსაფრთხოება და ტრანსპორტირება. დიახ, ბრაზილიაში კრიმინალური ფონია მაღალი. გასულ კვირაში ქვეყნის ორი უმაღლესი რანგის მოსამართლე იმსხვერპლეს რიო დე ჟანეიროელმა ბანდიტებმა, რომელთაც მათ აეროპორტიდან ქალაქის ცენტრისკენ მიმავალ გზაზე ავარია მოუწყვეს. 2006 წლის დასაწყისში კი სან პაულუში ბანკებზე თავდასხმის „მოდა“ შემოვიდა, რამაც პოლიციელიან-ბანდიტებიანად 200 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ამბობდნენ, რომ ამის უკან იდგა ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფი, მარტივად კი ბანდა სახელწოდებით „დედაქალაქის პირველი რაზმი“. საინტერესოა, დედაქალაქის ბანდას სან პაულუში რა დარჩენოდა.

კიდევ, ზემოთ ტრანსპორტირების პრობლემები ვახსენეთ. სამწუხაროდ, ბრაზილიაში საჰაერო ტრანსპორტის კრიზისია და საერთოდაც, ეს ქვეყანა ფეხბურთელების კარგ ფინტებთან ერთად ავიაკატასტროფების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით არის გამორჩეული. კრიზისი განსაკუთრებით მას მერე გამწვავდა, რაც 29 სექტემბერს ავიაკატასტროფაში 154 ადამიანი დაიღუპა. კრიზის გამო ბრაზილიელი ავიაკონტროლიორებმა საქმეს „მართლა“ მოჰკიდეს ხელი და ბუნებრივია, ამან ერთიორად გაზარდა გადადებული და დაგვიანებული რეისების რაოდენობა.

ვიცით, ტრანსპორტის სხვა სახეობების ამბავიც გაინტერესებთ. მოგახსენებთ: სამგზავრო მატარებლები ბრაზილიაში ფაქტობრივად არ არის, ხოლო საავტომობილო ტრასების სისტემა ირღვევა.

პაპუნა კედია



ხოსე მარია დელ ნიდო და ფაბიო კაპელო — ერთი „სევილიას“ პრეზიდენტია, მეორე კი მადრიდის „რეალის“ მწვრთნელი. მათი გუნდები პრიმერადივიზიონის მეთოთხმეტე ტურში ერთმანეთს ანდალუზიურ „სანჩეს პისხუანზე“ შეერკინენ და „სევილიამ“ სამეფო გუნდი 2:1 დაამარცხა. დელ ნიდოს კლუბი ესპანეთის ჩემპიონატის ცხრილში სადღეისოდ მეორე ადგილზეა, კაპელოს სამეფო თეთრები კი მესამეზე არიან და სევილიელებს ორი ქულით ჩამორჩებიან. ანდალუზიელთა პრეზიდენტს და „რეალის“ სახელგანთქმულ თავკაცს „ასის“ კორესპონდენტები გაესაუბრნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP

დელ ნიდო: რონალდინიო? მობრძანდეს, დაბრძანდეს!

— ამ სეზონში თქვენს გუნდს ჩემპიონთა ლიგაზე მოხვედრის გარდა სხვა რა მიზანი აქვს?

— გვინდა, რომ პირველ ოთხეულში მოვხვდეთ, რაც უკვე წარმატებაა. უფრო ზუსტ პასუხს კი სადღაც 32-ე ან 33-ე ტურის დროს გაგცემთ. მაშინ გამოჩნდება, რეალურად რა შეგვიძლია.

— თუმც „სევილიას“ გულშემატკივრები გუნდის შესანიშნავმა თამაშმა ოპტიმიზმით აავსო და მათ სულ უფრო მეტი გამარჯვებები უნდათ...

— რა თქმა უნდა, მეგობარო, ეს დღემდე უცნობი „სევილიაა“, რომელსაც „რეალის“ დამარცხება დიდი ძალისხმევის გარეშე შეუძლია. ან კიდევ ისეთ მნიშვნელოვან მატჩებში გამარჯვება, როგორიც „ვალენსიასთან“ 3:0 მოგებული თამაში იყო. ეს ძლიერი „სევილიაა“. დღეს გულშემატკივრები „სანჩეს პისხუანზე“ შეხვედრის სანახავად რომ მიდიან, ერთმანეთს ეკითხებიან — ვის ვეთამაშებით? მათ რამდენ გოლს გავუტანთ?

— ფანკლუბიც დღითი დღე მრავალრიცხოვანი ხდება...

— ჩვენ უზარმაზარი სამუშაო ჩავატარეთ. ჯერ გუნდის განახლებაზე ვიზრუნეთ, შემდეგ ეკონომიკური სიტუაცია გავაჯანსაღეთ და ტიტულებმაც აღარ დააყოვნა. კლუბში გასაწევრიანებლად მოსული გულშემატკივრების რაოდენობა კი მართლაც შთამბეჭდავია. ვამაყობ, რომ ჩემი პრეზიდენტობისას „სევილიამ“ ხალხის ამხელა სიყვარული დაიმსახურა.

— შეიძლება ვთქვათ, რომ „რეალის“ და „ბარსელონას“ შემდეგ „სევილია“ მესამე გუნდია?

— მესამე? ნურას უკაცრავად, ჩვენ მსოფლიოს ნომერ პირველი კლუბი ვართ. „ბარსელონა“ მესამეა, ხოლო „რეალი“ კი აღარც მახსოვს, რომელ ადგილზეა. ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ ასე გადაწყვიტა. 2006 წელი „სევილიასია“.

— როგორია, იყო პრეზიდენტი გუნდისა, რომელმაც გასულ შაბათს მადრიდის „რეალს“ მნიშვნელოვანი მატჩი მოუგო? თავიდან ხომ მეტოქე იგებდა...

— ჩვენს გამარჯვებაში დარწმუნებული ვიყავი, რადგანაც „სევილია“ საკუთარ მინდორზე ხელშეუხებელია. სულერთი იყო გოლს ჩვენზე ადრე შეაგდებდნენ თუ არა, მაინც ჩვენ მოვიგებდით. ფლანგებზე ნავასი და ადრიანო შესანიშნავად თამაშობენ და მათ არც სხვები ჩამოუვარდებიან. „სევილია“ ძალიან კარგ ფორმაშია და ასე თუ გავაგრძელებთ, ჩემპიონატის ბოლოს 78 ან 80 ქულის მოგროვება ჩვენთვის ოცნება არ იქნება.

— და როდესაც პრესაში „ჩელსის“ ალვეშით ან სხვა ფეხბურთელით დაინტერესების შესახებ კითხულობთ, რას ფიქრობთ?

— იმას, რომ მნიშვნელოვანი ფეხბურთელების გუნდიდან გაშვება არ შეიძლება. რახან გრანდები 7-8 სევილიელი ფეხბურთელით დაინტერესდნენ, ეს ნიშნავს, რომ მართლაც შესანიშნავი გუნდი გვყავს. „რეალთან“ ჩვენი ცვლილებები გაიხსენეთ: პოულსენის მაგივრად მარესკა შემოვიდა, ადრიანოს ნაცვლად პუერტა, ლუიშ ფაბიანოს ნაცვლად ერნესტო ხავიერ ჩევანტონი. ახლა კი „რეალის“ ცვლილებებს გადახედეთ და მიხვდებით, „სევილიაში“ რა მნიშვნელოვანი ფეხბურთელები თამაშობენ.

— საუკეთესო შემადგენლობა გყავთ?

— ესპანეთში ყველაზე საუკეთესო შემადგენლობა „ბარსელონას“ ჰყავს. ამ მხრივ მეორე ადგილზე „სევილიაა“.

— „რეალსაც“ სჯობნით?

— რასაკვირველია. კიდევ გაგიმეორებთ, შეხედეთ შაბათს ორივე გუნდის მიერ განხორციელებულ ცვლილებებს და მიხვდებით, მათ შორის რომელია საუკეთესო.

— ხუანდე რამოსი სადღეისოდ გუნდში რა როლს ასრულებს?

— უმნიშვნელოვანეს როლს. იგი გემის კაპიტანია, რომელიც საჭირო დროს საჭირო ბრძანებებს გასცემს და მეზღვაურებს შანსს აძლევს, საქმეში თავიანთი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინონ. წელიწად-ნახევარია, ჩვენთან მუშაობს და უკვე ორი ევროპული ტიტული მოვიგეთ. თან გუნდი გაისად ლიგაზე მოხვედრის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია.

— ინგლისურ „ტოტენჰემს“ უნდა რამოსის გადაბირება...

— მართლა? მაშინ მეც ინგლისში უნდა წამიყვანონ, რამოსისნაირ მწვრთნელს გვერდიდან ვერ მოვიშორებ.

— თქვენ ხუმრობთ და „მამლები“ „სევილიას“ მწვრთნელის წაყვანაზე სერიოზულად მუშაობენ...

— კი, ბატონო, თუ კარგი სატრანსფერო წინადადება იქნება, წავალ ინგლისში სამი წლით, იქაური პრემიერლიგის ჩემპიონიც გავხდები და მერე დავბრუნდები „სევილიაში.“ აბა, ხელცარიელი ხომ არ ჩამოვალ...

— ხუანდე რამოსთან ხელშეკრულების მიხედვით, მწვრთნელს კონტრაქტს ავტომატურად გაუხანგრძლივებთ, როგორც კი სევილია ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის უფლებას მოიპოვებს...

— ამას ვადასტურებ, მაგრამ რადგანაც ხუანდესთან ერთად შორსგამიზნული პროექტების კეთება გვინდა, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, რომ მწვრთნელმა „სანჩეს პისხუანზე“ თავი იდეალურად იგრძნოს. თუ რამოსი ისეა ჩვენთან, როგორც საკუთარ სახლში, სხვა გუნდში გადასვლაზე ლაპარაკი უაზრობაა. და თუ რაიმე პრობლემა შეგვექმნება, წასვლაში ხელს არ შევუშლით — „სევილია“ პროფესიონალების გუნდია, რომელთაც ამავდროულად ადამიანური გრძნობების ნაკლებობაც არ აწუხებთ.

— ესპანეთში სულ ნავასს და კანუტს აქებენ...

— ასევე ადრიანოსაც, ალვეშსაც და პოულსენსაც საქმე ისაა, რომ ბევრი ძლიერი ფეხბურთელი გვყავს. ჩვენთან ისეთი ვარსკვლავები თამაშობენ, ესპანეთის ნებისმიერ გუნდში ძირითადს რომ ვერ ასცდებიან. დავიწყოთ პალოპინო — იგი მსოფლიოს ყველაზე საუკეთესო მეკარეა. შემდეგ ალვეში — მსოფლიოს საუკეთესო განაპირა ნახევარმცველი. და ასე შემდეგ... გუნდში, რომელიც მსოფლიოში პირველია, მსოფლიოს საუკეთესოებიც უნდა თამაშობდნენ. უფრო მეტსაც გეტყვით — ახლა რომ „ბარსელონამ“ რონალდინიო შემომთავაზოს, კატალონიელებს მივუგებდი: დაიტოვეთ რონი თქვენთან. „სევილიაში“ მუდამ სათადარიგოებში ჯდომა მოუწევს და ძალიან გაწვალდება.

კაპელო: მოდაშია ანტიკაპელოიზმი

— ამჟამად თქვენს საფეხბურთო სტილს ბევრი აკრიტიკებს, ხალხს არ მოსწონს მადრიდის „რეალის“ თამაში...

— დღეს „ანტიკაპელოიზმია“ მოდაში. გაგლანძღავენ, საშინელ იარლიყებს მოგაკერებენ და მერე ამტკიცე, რომ „რეალის“ წარმატებისთვის ყველაფერს აკეთებ... თუ თამაშის მოგება გინდა, საკუთარი საფეხბურთო სტილი უნდა გქონდეს. თანამედროვე ფეხბურთში სირბილის გარეშე გამარჯვება არ შეიძლება. საწყენია, რომ „რეალის“ და კაპელოს გალანძღვა დღეს კარგ ტონად ითვლება.

— კრიტიკას უსაფუძვლოდ თვლით?

— ბევრი რამ, რაც ჩემზე ითქმება, სრული სიცრუეა. მე სამი თავდამსხმელით ვთამაშობ მაშინ, როცა თითქმის ყველას ერთი ფორვარდი და ერთიც წინ წაწეული ნახევარმცველი ჰყავს.

— ფეხბურთელები „სევილიასთან“ მარცხის შემდეგ თავს როგორ გრძნობენ?

— ბიჭებს ვუთხარი, რომ ძალიან კარგი გუნდი ვართ და ტიტულების მოგებაზე ფიქრი არ უნდა შევწყვიტოთ.

— რა უნდა გააკეთოს „რეალმა“ კრიტიკის თავიდან ასაცილებლად?

— სტაბილურობა გვაკლია. ხანდახან ყველაფერი გადასარევად გამოგვდის, მაგრამ ეს მხოლოდ ცალკეულ ეპიზოდებში ხდება.

— საამსეზონო განვლილ გზას როგორ შეაფასებდით?

— მუდამ დადებითზე უნდა ვიფიქროთ, რადგანაც, სიძნელეების მიუხედავად, რამდენიმე შესანიშნავი მატჩი ჩავატარეთ. ნებისმიერ შეხვედრაში მნიშვნელოვანია გუნდის თამაშზე, მოწინააღმდეგის პასუხებზე დაკვირვება. დღითი დღე ძალა გვემატება. ჩვენ მებრძოლი გუნდი ვართ, რომელიც თამაშობს, რომელსაც უმაღლესი დონე აქვს. „ბერნაბეუზე“ „რეალის“ მაისურისადმი პატივისცემა აღვადგინეთ. თუმცა ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი.

— თქვენი აზრით, მადრიდის „რეალი“ იანვრის სატრანსფერო ბაზრის შემდეგ ახალი ფეხბურთელებით გაძლიერდება? მედიაში რამდენიმე მომავალი მადრიდელის გვარს ასახელებენ...

— შემადგენლობა გაძლიერდება. დრო შეიძლება ჩვენი ყველაზე საუკეთესო მოკავშირე გამოდგეს. სავარაუდო მადრიდელები კი ახალგაზრდა, კარგი ფეხბურთელები არიან, რომელთაც დიდი მომავალი აქვთ. ერთიც — „რეალში“ მორიგი „გალაქტიკური“ ტალღის მოვარდნა აღარ იქნება, „გალაქტიკოსებს“ გუნდები აღარ ყიდიან.

— „რეალს“ და „ბარსელონას“ სულ ერთმანეთს ადარებენ...

— ყოველ გუნდს თავისი სათამაშო სტილი აქვს და იმ ფეხბურთელებზეა დამოკიდებული, რომლებიც ჰყავს. „ბარსას“ ბოლო სამი თამაში გადასარევად არ ჩაუტარებია. „ვერდერთან“ კი მეორე ტაიმში კატალონიელები საერთოდ დაიღალნენ... ჩვენ რომ „ბერნაბეუზე“ ანალოგიური რამ გავაკეთოთ, ანუ უკვე მიზანმიმართულმა „რეალმა“ მეტოქეს მეორე ტაიმში აღარ შეუტიოს, გულშემატკივრები ფეხზე წამოხტებიან და ლანძღვა-გინებით აგვიკლებენ... ბარსელონასნაირი ფეხბურთელები პრიმერადივიზიონში არავის ჰყავს და რა გასაკვირია, გუნდი ზოგიერთ მატჩში დიდებულად თუ ითამაშებს?

— ამ სეზონში რაულისგან რას ელით?

— ვთხოვ, რომ ისევ ჩვენი ლიდერი გახდეს. ეს „რეალს“ ძალიან სჭირდება. კაპიტანი ჩვენი შემადგენლობის განსაკუთრებული ნაწილია.

— ხანდახან ის ჩანს, რომ „რეალის“ წარმატება გუტის თამაშის ხარისხზეა დამოკიდებული...

— ამის არ მჯერა.

— რონალდოს შესახებ რას გვეტყვით?

— მისი თამაშით კმაყოფილი ვარ. ფორმაში ჩასადგომად მცირე რამ აკლია, თუმც ჩემს მიერ შეთავაზებულ ვარჯიშებს ბეჯითად ასრულებს. რამდენიმე დეტალზეა დამოკიდებული კვირას „ესპანიოლთან“ თავდასხმაში მისი და ვან ნისტელროის ერთად თამაში.

— ლიგაზე „რეალის“ შესაძლო მეტოქეებზე რას ფიქრობთ?

— „ჩელსი“ ძალიან ძლიერია. „მანჩესტერიც“ და „არსენალიც“ კარგად თამაშობენ.

— სევილიაში იქაური ინჩასები აგრესიულად იქცეოდნენ. ერთ-ერთმა ბილიარდის ბურთიც კი გესროლათ...

— მე სხვა ინჩაღა მახსოვს. ადრე ხალხს უფრო უყვარდა ფეხბურთი, სტადიონზე მარტო თამაშის სანახავად და გასართობად დადიოდა. რაც დღეს ტრიბუნებზე ხდება, ბავშვებისთვის მისაბაძი და სამაგალითო ნამდვილად არ არის.

მარკამ რონალდინიო ციურიხში გაუშვა

AFP

ფიფას ვერსიით, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს, სავარაუდოდ, ბრაზილიელი რონალდინიო მოიგებს. გუშინდელი ესპანური „მარკას“ ცნობით, კლუბთა მუნდიალის დასრულებისთანავე „ბარსელონას“ ლიდერი ტოკიოდან პირდაპირ ციურიხში გადაფრინდება, სადაც 18 დეკემბერს დაჯილდოების ცერემონიალი უნდა შედგეს. რონის შვეიცარიული ვიზიტი იმას მოწმობს, რომ ჯილდოს სწორედ მას შეახვედრებენ, აბა, სხვა შემთხვევაში ციურიხში დაუყოვნებლივ გამგზავრება ბრაზილიელს არაფერში დასჭირდებოდაო — წერს „მარკას“ ჟურნალისტი, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ფიფა ბოლო მომენტამდე გამარჯვებულის ვინაობის დამალვას საგულდაგულოდ შეეცდება, კიჭა კი გამოკვეთილი ფავორიტია.

ფიფას ჯილდო პირველად 1991-ში გერმანელმა ლოთარ მათეუსმა მოიგო. თავად რონალდინიოს ჯილდო ზედიზედ ორჯერ, 2004 და 2005 წლებში მოუპოვებია. შარშანწინ ბრაზილიელმა ტიტულისთვის ბრძოლაში ტიერი ანრის და ანდრეი შევჩენკოს აჯობა, 2005-ში კი მასთან ომში ფრენკ ლამპარდი და სამუელ ეტოო გაწბილდნენ. შეგახსენებთ, რომ ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობის პატივი სამგზის მარტო ორ დიადს — რონალდოს და ზინედინ ზიდანს — ხვდათ წილად.

ლადო ხომერიკი

AFP

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲝᲪᲐᲓ

ᲯᲐᲯᲐ ᲒᲐᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲣᲑᲠᲐᲖᲓᲐ

მადრიდის „რეალი“ ბევრს ცდილობს, რომ „მილანს“ 2006-07-ის სეზონის დასასრულს ბრაზილიელ კაკაზე უარი ათქმევინოს. მას შემდეგ, რაც სამეფო გუნდის სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი და მისი თანაშემწე ბალდინი ფეხბურთელის წარმომადგენლებს რამდენჯერმე შეხვდნენ, საქმე შეიძლება მადრიდელთა სასარგებლოდ შემოტრიალდეს. პრეზიდენტი კალდერონი ფულს არ დაიშურებს, რათა სასურველი ფეხბურთელი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჩაიყვანოს.

„მილანის“ მოთხოვნები „რეალისთვის“ უკვე ცნობილია. იტალიელები კაკას 60 მილიონზე ნაკლებად არ გაყიდიან. თუ ეს ტრანსფერი განხორციელდა და ბერლუსკონის კლუბმაც ბრაზილიელის სანაცვლოდ ხსენებული თანხა მიიღო, „მილანი“ რონალდინიოზე სერიოზულ შეტევას წამოიწყებს. ბარსელი კიჭა ასიდან ასოც მილიონ ევრომდე ღირს, ბერლუსკონი და მის ვიცე-პრეზიდენტი გალიანი კი რონის მილანურ ფერებში გამოწყობილს ჯერ მარტო სიზმრად ხედავენ.

სენიორ კალდერონს მსგავსი მასშტაბის და გაქნების ფინანსური ოპერაციების გაჩარხვას დიდი გამოცდილება აქვს — „რეალის“ დღევანდელი თავკაცი ექსპრეზიდენტ პერესის დირექტორატის წევრი გახლდათ, როცა სამეფო გუნდმა „იუვენტუსიდან“ ზიდანი სამოცდათვრამეტ, ხოლო „ინტერიდან“ რონალდო ორმოცდახუთ მილიონ ევროდ იყიდა. კაკა იდეალურ ასაკშია, 24 წლის ბრაზილიელს „ბერნაბეუზე“ გადასვლის შემთხვევაში საკარაუდოდ შვიდსეზონიან კონტრაქტს შესთავაზებენ.

60 მილიონის გადახდა კი წესით, მადრიდულ გრანდს არ უნდა გაუჭირდეს. ტელევიზიან „მედიაპროსთან“ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, „რეალი“ საამსეზონოდ 40 მილიონს მიიღებს, 2007-08-ში კი 45 მილიონ ევროს. „სატელევიზიო კონტრაქტი დაგვეხმარება, რომ „მილანმა“ კაკაზე უარი ვეღარ გვითხრას“ — აცხადებენ „რეალის“ დირექტორატის წევრები.

„რეალს“ მიზნის განხორციელებაში კაკას სურვილიც ხელს უწყობს. მადრიდული მედიის ცნობით, ფეხბურთელს „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტ გალიანისთვის უთქვამს, თუ გუნდი გაისად ჩემპიონთა ლიგაზე ვერ მოხვდა, „სან სიროზე“ ჩემი დარჩენა ძალიან საეჭვოა. „მილანი“ კი სერია A-ში ღღეს მეთხუთმეტე ადგილზეა...

ლადო ხომერიკი

მოღალატის მკლავი

ლუკას ნილი კვლავაც რჩება ბლექბერნის კაპიტნად თუმცა მან უკვე ორჯერ იუარა კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივება და შინაური გულშემატკივრებიც უსტვენენ.

ასე გადაწყვიტა კლუბმა, რომელმაც უკვე იცის, რომ 28 წლის ავსტრალიელი ივნისში თავისუფალი აგენტი გახდება და ან ლივერპულში, ანაც ბარსელონაში გადაბარგდება. ოღონდ, ეს შეიძლება ადრეც მოხდეს: კლუბს გაყიდვა ურჩევნია. ფანმა მენეჯერ მარკ ჰიუზზეც ბრაზობს, მოღალატეს კაპიტნის სამკლავური რატომ დაუტოვაო.

„ზოგიერთი ფანი უკმაყოფილოა, — ამბობს ჰიუზი — რადგან ლუკასის წასვლის ვითარება შეიტყვეს, მაგრამ ეს ჯერჯერობით არაფერს ცვლის. თუ შეცვლის, მეც ვიმსჯელებ ამის შესახებ. თუ მას იანვარში გავყიდით, ერთი საქმეა. ამით უფრო კმაყოფილნი ვიქნებით და კაცური საქციელისთვის ხელს ჩამოვართმევ. თუ ზაფხულში წავა, კიდევ სხვა საქმეა. ლუკასი იოლად გადასაბირებელი იმიტომაც გამოდგა, რომ წელს ცუდად ვთამაშობთ“.

ირაკლი გამყრელიძე

პატარა ბიჭის ჩრდილი

ᲙᲐᲡᲙᲐᲠᲘᲜᲝ: ᲨᲔᲕᲩᲔᲜᲙᲝ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ!

„ჩელსის“ ყოფილი ვარსკვლავი ტონი კასკარინო ამბობს, რომ ანდრეი შევჩენკო ინგლისურ ფეხბურთში წარმატებას ვერასდროს მიაღწევს და ამიტომ ჟოზე მაურინიუმ იგი გუნდში აღარ უნდა გააჩეროს. ეს თემა კასკარინოსთან „ევროსპორტმა“ განიხილა ექსკლუზიურ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, თუმც რა შეხსენება უნდა, რომ 30 წლის შევჩენკო 31 მილიონი ინგლისური გირვანქის სანაცვლოდ „ჩელსიში“ „მილანიდან“ გადავიდა, მაგრამ პრემიერლიგაში ფეხი ვერ მოიკიდა და ახალ გუნდში 19 შეხვედრაში მხოლოდ 4 გოლი შეაგდო.

„ვგონებ, ინგლისში იმ ანდრეი შევჩენკოს, რომლის თამაშსაც წლობით შევეჩვიეთ, ვერ ვიხილავთ — თქვა კასკარინომ, რომელმაც ინგლისისა და საფრანგეთის კლუბებში თითქმის ოცი წელიწადი ითამაშა — საქმე მენტალიტეტში უნდა იყოს. მას საკუთარი თავის რწმენა არ ყოფნის, ასეთი რამ კი ხანდახან დიდ ფეხბურთელებსაც ემართებათ. ის პატარა ბიჭს ჰგავს, რომელსაც საკუთარი ძალისა არ სჯერა. რა თქმა უნდა, ინგლისურ ცხოვრებასთან შეჩვევა ძნელია და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რაც ხდება ნაწილობრივ ამის ბრალიც არის, მაგრამ მაინც, ის, რასაც ვხედავთ, არ არის ის რასაც ველოდით“.

კასკარინოს მიაჩნია, რომ ის, რაც შევჩენკოს სჭირს, დროებითი მოვლენა არაა.

„სულ ვცდილობ გამართლება მოვუძებნო. მაღალ დონეზე თავად მითამაშია და ვიცი, რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას. მეც მქონია რთული პერიოდები, როდესაც ბევრი რამ არ გამოდიოდა. შევჩენკო „მილანში“ ყველაფრის მფლობელი გახდა, მაგრამ ვაგლახ, ინგლისში ოცამდე თამაში ვნახეთ და ის საკუთარ ჩრდილს ჰგავს. შევჩენკო არ ჰგავს ფეხბურთელს რომელსაც მარტოს შეუძლია თამაშის ბედის განსაზღვრა“.

შემდეგ კასკარინო ამბობს, რომ მაურინიუ, რომელმაც თავიდან შევჩენკო საზოგადოებას წარუდგინა, როგორც „ჩელსის“ ახალი ლიდერთაგანი, თანდათან მოთმინებას კარგავს.

„მე იმედი მაქვს, რომ ანდრეი იპოვნის იმას, რაც მას საკუთარი თავის რწმენას შემატებს, თორემ ნეგატიური ატმოსფერო, რომელიც მის გარშემო მულ უფრო და უფრო მძიმდება, მას მხოლოდ და მხოლოდ ხელს შეუშლის. საკუთარ თავს ვეკითხები, რამდენ ხანს გაძლებს შევჩენკო? მაურინიუმ თქვა, რომ 9 ხელშეუხებელი ფეხბურთელი ჰყავს და მათ შორის შევჩენკო არ დაუსახელებია. განა ეს მასზე ზეწოლის გაძლიერება არ არის?“

პაპუნა კვედია

AFP

ევროპის თასი 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

ჩაფრები ძლიერებს გაურბიან

AFP

პოლ ლე გუენს პირველი ადგილი უნდა

A ჯგუფი

ოსერი — ლივორნო
რეინჯერსი — პარტიზანი

რეინჯერსი	3	2	1	0	7:4	7
მაკაბი	4	2	1	1	5:4	7
ოსერი	3	1	1	1	7:6	4
ლივორნო	3	0	2	1	4:5	2
პარტიზანი	3	0	1	2	2:6	1

B ჯგუფი

ლევერკუზენი — ბეშიქთაში
ტოტენჰემი — დინამო

ტოტენჰემი	3	3	0	0	6:1	9
დინამო	3	2	1	0	5:3	7
ბეშიქთაში	3	1	0	2	3:5	3
ბრიუგე	4	0	2	2	4:7	2
ლევერკუზენი	3	0	1	2	2:4	1

C ჯგუფი

ბრაგა — გრასჰოპერი
სევილია — ალკმაარი

ალკმაარი	3	2	1	0	10:4	7
სევილია	3	2	1	0	6:0	7
ლიბერეცი	4	1	2	1	6:7	5
ბრაგა	3	1	0	2	4:5	3
გრასჰოპერი	3	0	0	3	3:13	0

D ჯგუფი

პარმა — ოსასუნა
ჰერენვენი — ლანსი

პარმა	3	3	0	0	6:3	9
ლანსი	3	1	1	1	5:4	4
ოსასუნა	3	1	1	1	4:4	4
ოდენსე	4	1	1	2	5:6	4
ჰერენვენი	3	0	1	2	1:4	1

გლაზგოს „რეინჯერსს“ A ჯგუფის გამოკვეთილ აუტსაიდერთან და უმოტივაციოდ დარჩენილ ბელგრადის „პარტიზანთან“ საშინაო მატჩში ქულაც ეყოფა, რათა პირველი ადგილი გაინაღდოს და მეთექვსმეტედფინალში ჩემპიონთა ლიგიდან გადმონაცვლებული ძლიერი მეტოქეები აირიდოს. პოლ ლე გუენს გუნდის მთავრმეგოლე კრის ბოიდი არ ეყოლება, იგი დაშავებულია. „ჩაფრების“ გარდა ამ ჯგუფიდან უკვე გასულია ჰაიფას „მაკაბი“, რომელსაც ოთხივე მატჩი ჩატარებული აქვს.

ფრანგული „ოსერი“ და იტალიური „ლივორნო“ მეთექვსმეტედფინალის მესამე საგზურს გაითამაშებენ. ტოსკანელების შანსი გაცილებით მცირეა, მათ სტუმრად მოგება სჭირდებათ, რაც ადვილი არ იქნება.

დაახლოებით ანალოგიური ვითარებაა B ჯგუფშიც. „ტოტენჰემი“ და ბუქარესტის „დინამო“ „უაით ჰართ ლეინზე“ პირველადგილოსნის ვინაობას გაარკვევენ. ტრავმირებული რობი კინისა და ჯერმენ ჯენასის გარეშე მოთამაშე „მამლებს“ ფრეც ეყოფათ.

ამ დროისთვის ჯგუფში ბოლო ადგილზე მყოფმა „ლევერკუზენმა“ შინ აუცილებლად უნდა მოუგოს „ბეშიქთაშს“. წინააღმდეგ შემთხვევაში შემდეგ ეტაპზე სტამბოლელები გავლენ.

პირველადგილოსანი გამოვლინდება C ჯგუფის ლიდერების „ალკმაარისა“ და „სევილიას“ შეხვედრაშიც. ცხრილის თავში დასარჩენად საკუთარ კედლებში მოთამაშე შოთა არველაძის გუნდს ბრწყინვალე ფორმაში მყოფ ესპანელებთან ქულაც დააკმაყოფილებს.

პორტუგალიურმა „ბრაგამ“ აუცილებლად უნდა მოუგოს „გრასჰოპერს“, თორემ შემდეგ ეტაპზე ჩეხური „ლიბერეცი“ გავა. თუმცა ძნელად სავარაუდოა, „ბრაგას“, უმოტივაციო „კალიებთან“ საშინაო შეხვედრაში გამარჯვება გაუჭირდეს.

შედარებით გაურკვეველი ვითარებაა D ჯგუფში, სადაც შეიძლება ისე მოხდეს, რომ უკვე პირველ ადგილზე გასული „პარმას“ გარდა ოთხივე გუნდმა ოთხი ქულა მოაგროვეს.

„ოსასუნა“ „ენიო ტარდინის“ სტუმრობს, საიდანაც ქულა მაინც უნდა წამოიღოს, თუ მეთექვსმეტედფინალში გასვლა სურს. „ჰერენვენს“, „ლანსთან“ საშინაო მატჩში სამი ბურთის სხვაობით მოგება სჭირდება და ამ შემთხვევაში ჰოლანდიელები შემდეგ ეტაპზე გავლენ. ასევე მიზერული შანსი აქვს „ოდენსესაც“, მაგრამ დანიელები თავიანთ თავზე დამოკიდებულნი არ არიან და ძნელად სავარაუდოა, ყველაფერი ისე მოხდეს, როგორც მათ სურთ.

კოკი კანდელაკი

არავითარი პლეი, არავითარი ოფი

დეშანი: შორს ჩვენგან სანერვიულო მატჩები

ტურინის „იუვენტუსის“ მწვრთნელი დიდიე დეშანი იმედოვნებს, რომ მისი გუნდი სერია A-ს საგზურს პლეი ოფის გარეშე მოიპოვებს. „ბებერი ქალბატონი“ ამჟამად სერია B-ს 28 ქულით „ბოლონიასთან“ ერთად ლიდერობს. თუმცა ფრანგი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ პირველ ან მეორე ადგილზე გასვლა არც ისე იოლი იქნება, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

„ჯერ, სერია A-ს საგზურების მფლობელთა ვინაობა ივნისამდე არ გაირკვევა. მიზანს ბოლო ტურში რომ მივაღწიოთ, ამითაც კმაყოფილი ვიქნები. მთავარია, პლეი ოფის გარეშე დავბრუნდეთ სერია A-ში და, ვფიქრობ, ეს შეგვიძლია. ზედმეტი მატჩებისა და ნერვიულობის თავიდან აცილება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მომავალი სეზონისთვის გეგმების დასაწყობად და მოსამზადებლად მეტი დრო გვექნება. თუმცა ვიცი, ივივე სურვილი აქვთ სხვა კლუბებსაც. მაგალითად, „ჯენოასა“ და „ნაპოლის“, რომლებიც მშვენივრად არიან მომზადებულნი. ასევე „ბოლონიას“, რომელსაც ჯერ არ შეგხვედრივათ. სეზონის დებიუტი ჩვენთვის იოლი არ ყოფილა, პირველ რიგში ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. როცა სერია B-ში თამაში გიწევს, საქმე უფრო გირთულდება. თან აქ თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს. ასევე უნდა შეეგუო იმ ფაქტს, რომ მეტოქეთა გულშემატკივრები ხშირად ცუდად შეგხვდებიან. გარდა ამისა, მწვრთნელმა უმტკივნეულოდ და ეფექტურად უნდა შეაზავოს გუნდი და დაძაბულობა მოუხსნას ახალგაზრდა, ნიჭიერ ფეხბურთელებს, რომლებსაც ისეთ გამოცდილ მოთამაშესთან ერთად უწევთ მინდორზე გასვლა, როგორიც ალესანდრო დელ პიეროა“ — თქვა დეშანმა.

აპენინურ პრესაში კი განახლდა ჭორები „იუვესა“ და გაელ გივეს შესახებ. „მონაკოს“ 24 წლის მცველისა და დეშანის ყოფილი შეგირდის ტურინში გადასვლის ვარიანტი ზაფხულშიც იყო, მაგრამ შეთანხმება არ შედგა და „ბებერმა ქალბატონმა“ გივეს ნაცვლად „ნიუკასლიდან“ მისი თანამემამულე ჯანალან ბუმსონგი იყიდა.

„ტურინელები მართლაც დამიკავშირდნენ, ისევე როგორც სხვა რამდენიმე კლუბი. „იუვენტუსი“ სერია B-შია, მაგრამ მის რიგებში მაინც სიამოვნებით ვითამაშებდი. დეშანი კარგად მიცნობს, მასთან ახლაც ჩინებული ურთიერთობა მაქვს“ — ეს გივეს ადრინდელი განცხადებაა.

ამბობენ, „იუვენტუსი“ იანვარშივე განაახლებს გივესთან მოლაპარაკებას და „მონაკოს“ მის სანაცვლოდ 7-8 მილიონ ევროს შესთავაზებსო. ტურინელთა ყველაზე სუსტი წერტილი ამჟამად სწორედ დაცვაა, რომელსაც გაძლიერება სჭირდება. თუმც ინებებენ თუ არა „ლუი II“-ის ბინადრები თავიანთ ერთ-ერთ ლიდერთან განშორებას, არავინ იცის.

თავის მომავალზე ისაუბრა ტურინელთა ნახევარმცველმა მაურო ხერმან კამორანეზიმ. შეგახსენებთ, რომ მას ზაფხულში კლუბის დატოვება უნდოდა, მაგრამ ხელმძღვანელობამ არ გაუშვა.

„კლუბთან კონტრაქტი მაქვს და ჩემს მომავალზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა. უკვე ვთქვი, რომ სეზონის ბოლომდე მაინც ვრჩები და დანარჩენი მერე გამოჩნდება. ხელმძღვანელობა თავის პოზიციას გამოხატავს, ხოლო მე გუნდის გეგმებსა და ამბიციებს გავეცნობი. მთავარი პრობლემა იმაში არ იყო, რომ სერია B-ში უნდა გვეთამაშა, უბრალოდ, „იუვეში“ თამაშის სათანადო მოტივაცია აღარ მქონდა და ეს უფროსობასაც განვუცხადე. ამიტომ ვფიქრობდი, რომ გუნდის გამოცვლა სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა. კმაყოფილი ვარ თუ არა რომ დავრჩი? ათბალიან სისტემას თუ მივმართავთ, ექვსით შევაფასებდი. სერია A-ს უკვე ბოლომდე შევეგუე და ძალიან ვწუხვარ, რომ ისევ გაუთავებლად საუბრობენ და მახსენებენ, რომ წასვლა მინდოდა. ვიცი, ბევრს, ვისაც „იუვენტუსი“ უყვარს, ეს არ ესიამოვნა და მათ პატივს ვცემ, მაგრამ მინდა, შეც და ჩემს კარიერასაც პატივი სცენ და სწორად გამიგონ. ახლა 100 პროცენტით მწყობრში ვარ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ გუნდს სერია A-ში დაბრუნებაში დავეხმარო. ეს უბრალო სიტყვები და ზერელე დაპირება არ არის“ — განაცხადა კამორანეზიმ.

გიორგი კაკაბაძე

დადონ და დავარტყამ!

ჯილარდინო პენალტს არ მოიშლის

იტალიური „მილანი“ რომ ჯრიზისშია, თავადაც მოგეხსენებათ. კლუბმა გასულ უქმეებზე შინ „ტორინოს“ ვერ მოუგო და ახლა გასავარდნ ზონასთან მხოლოდ 3 ქულა აშორებს. იმ მატჩმა კულმინაციას 77-ე წუთზე უწია, როდესაც ტურინელთა კარში პენალტი დაინიშნა. მისი შესრულება ალბერტო ჯილარდინომ ითავა, მაგრამ ბურთი ხარიხას გაარტყა და ვერც დამატებაზე ივარგა.

„როდესაც გადამწყვეტი პენალტი უნდა დაარტყა, ინტუიციას ენდობი და იმ მომენტში მეც ასე მოვიქეცი, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ იყო დათქმული — თუ პენალტი დაინიშნებოდა, კაკას არყოფნაში მას იანკულოვსკი შეასრულებდა. მარეკს დაველაპარაკე და მასთან პრობლემა არ მქონია. მატჩის შემდეგ კარლო ანჩელოტისთან გასაუბრების შანსი არ მომცემია“ — აღნიშნა ჯილამ.

„პარმას“ ყოფილი ფორვარდი კოშმარულ სეზონს ატარებს — მხოლოდ ორი გოლი გაიტანა და ვერა და ვერ ათამაშდა ძველებურად. 24 წლის თავდამსხმელი „ტორინოსთან“ გამოუყენებელ პენალტს შემთხვევითობას აბრალებს და ამბობს, რომ მომავალში შანსი თუ მომეცემა, ისევ დავარტყამ თერთმეტმეტრიანს და გავიტანო.

ალბერტო ჯილარდინო: „შეცდომისგან არავინ არის დაზღვეული. სამწუხაროა, რომ პენალტი სწორედ მაშინ ვერ გავიტანე, როცა რთული პერიოდი გვიდგას და 3 ქულა ძალიან გვჭირდებოდა. მუალ თუ არა ისევ თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან? რა თქმა უნდა, კი. „პარმაში“ ყოფნისას პენალტი რამდენჯერმე დავარტყი და ყოველთვის ზუსტად. როგორც ალენიშნე, ეს ინსტინქტურად ხდება და მეც ინტუიციას მივყევი. ამჯერად არ გამიმართლა, მაგრამ ჩემს შანსს მომავალში გამოვიყენებ. მჯერა, თანაგუნდელებს საწინააღმდეგო არაფერი ექნებათ. ჩემი აზრით, ფეხბურთელი მინდორზე იმას უნდა აკეთებდეს, რასაც გრძნობს და მის არჩევანს პატივი უნდა სცენ“.

გიორგი კაკაბაძე

ფეხბურთის რუკასთან

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა 2007-ის ნოემბერში, სამხრეთაფრიკულ ქალაქ დურბანში გაიმართება, რომელიც ქვეყნის აღმოსავლეთში მდებარეობს. 27 ნოემბრიდან ექვსი დღის განმავლობაში დურბანში შეიკრიბებიან ფიფას მაღალჩინოსნები და მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები, სადაც მომავალ მუნდიალზე ისაუბრებენ.

ესპანური „ვილიარეალის“ მცველი ხავი ვენტა მარჯვენა ბარძაყის კუნთის გაწყვეტის გამო, იანვრამდე დაისვენებს. სამედიცინო შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ ვენტა, სულ მცირე ორი კვირა ვარჯიშს ვერ შეძლებს.

გერმანულმა „ნიურნბერგმა“ წინასწარი კონტრაქტი გაუფორმა დანიელ ლარს იაკობსენს. 27 წლის ფეხბურთელს „კოპენჰაგენთან“ ხელშეკრულება მომავალი წლის ზაფხულში ეწურება და „ნიურნბერგში“ 2010 წლამდე ითამაშებს. იაკობსენს აღრეც მოუსინჯავს ძალა ბუნდესლიგაში, კერძოდ „ჰამბურგში“, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა, ახლა კი მეორე ცდაზე მიდის. „კოპენჰაგენმა“ ჩემპიონთა ლიგაში დებიუტანტის კვალობაზე კარგად ითამაშა, თავად ფეხბურთელი კი ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს.

ჰოლანდიური „ჰერენვენის“ მცირე ხნით გამოაკლდება მთავარი ნახევარმცველი პოლ ბოსველტი, რომელსაც გული აწუხებს. მას ექიმებმა დასვენება და მკურნალობა ურჩიეს. „ჰერენვენი“ დღეს უეფას თასზე „ლანსს“ ეთამაშება და ბოსველტი გუნდს ვერ დაეხმარება.

ესპანურ „დეპორტივოს“ ორი ფეხბურთელი დაუშავდა — ალდო დუშერი და ალბერტ ლოპო. ლოპოს მარჯვენა წვივი სტკივა, რადგან „ვალენსიასთან“ მატჩში მეტოქემ ფეხი მოარტყა. მას ერთთვიანი მკურნალობა დასჭირდება. რაც შეეხება ალდო დუშერს, ვარჯიშზე დაშავდა და სამ კვირას ველარ ითამაშებს.

გერმანული „შტუტგარტის“ ბრაზილიელმა ფორვარდმა კაკუმ კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა და ბუნდესლიგაში 2010 წლის ივნისამდე დარჩება. მის ხელშეკრულებას ვადა სეზონის ბოლოს ეწურებოდა, მაგრამ კაკუს თამაში ძალიან მოსწონს მწვრთნელ არმინ ფეეს და ამიტომაც გადაწყვიტა მისი დატოვება.

პორტუგალიური „სეტუბალის“ თავკაცი ანტონიო კონსეისაო ცუდი შედეგების გამო მოხსნეს. ამის შესახებ კლუბის პრეზიდენტმა ჟორჟე სანტანამ განაცხადა. გუნდს დროებით ჩაიბარებს კონსეისაოს თანაშემწე კარლოს კარდოსო. „სეტუბალი“ ამჟამად ცხრილში მე-14 ადგილზეა ცხრა ქულით.

გამორთე ტელევიზორი და ითამაშე ფეხბურთი

სტივ მაკლარენი

უცხოელი მოთამაშენი, ვიდეო თამაშები და კარგი მწვრთნელების ნაკლებობა: აი, მიზეზები ბრიტანულ ფეხბურთში ჭაბუკი ტალანტების ნაკლებობისა.

ასე დაადგინეს ამ კვირაში შეკრებილმა ბრიტანეთის ეროვნული ნაკრებების მწვრთნელებმა: ინგლისელმა სტივ მაკლარენმა, ჩრდილოირლანდიელმა ლორი სანჩესმა, უელსელმა ჯონ ტოშაკმა და სქოთმა უოლტერ სმიტმა.

„1986 წელს, როცა ჩრდილოეთ ირლანდია მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა, ჩვენ 15-20 ფეხბურთელი გვყავდა, რომლებიც ინგლისში, მოწინავე გუნდების ძირითადში თამაშობდნენ — თქვა სანჩესმა — ახლა ასეთი აღარავინაა. სულ ოთხი მყავს და ისინიც ძირითადში ვერ ხვდებიან. უცხოელების მოდინებამ და დიდმა ფულმა ადგილობრივი ტალანტები პრემიერლიგიდან დაბლა დივიზიონში ჩაწია.

სხვა უბედურება კომპიუტერული თამაშები და 24 საათიანი ტელევიზორს მიშტერებაა. ჩვენ ფეხბურთს ვთამაშობდით, ისინი კომპიუტერს. ბრაზილიაში ფეხბურთი რელიგიაა. იქაურ ბიჭებისთვის ის ნამდვილი ცხოვრებაა. ჩვენთან ასე აღარ არის“.

უოლტერ სმიტმა კი თქვა: „შოტლანდიაში მთელი მუშათა კლასი ფეხბურთს თამაშობს. ოღონდ ბიჭის მინდორზე მოხვედრა შეზღუდულია. ამას 20-30 საათი უნდა დაეთმოს, 2-3 კი ეთმობა“.

„კლუბებს უნდათ ახალგაზრდების აღზრდა — განაცხადა მაკლარენმა — მაგრამ მენეჯერს ყოველდღიურ შედეგს თხოვენ: არ გავარდე, ევროპაში გადი, აუცილებლად მოიგე. დაწოლა დიდია, უცხოელის მოყვანა უფრო იოლია, ვიდრე შინაურის აღზრდა“.

ჯონ ტოშაკმა კი ბრიტანელი სკაუტები ამხილა, უფრო აფრიკაში დაძვრებიან, ვიდრე ჩვენი დაბალი დონის თამაშებზეო: „ამ დროს კი თვითონ ბრიტანეთში უამრავი ტალანტია“.

ირაკლი გამყრელიძე

ვენგერი: ფული კი არა, გული!

არსენ ვენგერმა თქვა, რომ შფოთავს პრემიერლიგის მომავლის გამო, რახან იქაურ კლუბებს უცხოელები ეპატრონებიან.

„საგანგაშო არაფერია, როცა ეს ფეხბურთის სიყვარულის გამო ხდება — თქვა მეთოფეთა მენეჯერმა — მაგრამ როცა სიყვარული გაქრება და მხოლოდ ინვესტიცია დარჩება, ეს ფეხბურთისოვის კარგი არ იქნება“.

„ინგლისელები ყოველთვის ფეხბურთის სიყვარულის გამო ყიდულობდნენ კლუბებს, მაგრამ ეს დრო წარსულს ჩაბარდაო, თვლის ვენგერი.

„ინგლისში მაგარი რამე ის არის, რომ მეპატრონე იცნობს გულშემატკივრებს და ისინი კი მას იცნობენ. მეპატრონე იმავდროულად იმ კლუბის გულშემატკივარია და არა ბიზნესმენი. „ბლექბერნის“ თამჯდომარედ ჯეკ უოკერი ფანობიდან მოვიდა და იმავდროულად იმ კლუბის გულშემატკივარია და არა ბიზნესმენი. მისი დიდი სიყვარული რომ არა, „ბლექბერნი“ ჩემპიონი ვერ გახდებოდა. ის მილიარდერი იყო, მაგრამ ბლექბერნელი — განაცხადა ვენგერმა — ის ჩვეულებრივი ქომაგი იყო და რომ გამდიდრდა, ოცნება აისრულა, საყვარელი კლუბი იყიდა და ხალხსაც ოცნება აუსრულა. საქმეს გული სჭირდება. მე კი მგონია, რომ ცხონებული ჯეკის დრო წავიდა. ახლა ასე ამბობენ, ასი მილიონი მაქვს, ვთქვათ „არსენალში“ ჩავდებ და ორასად ვაქცევ ეს ფეხბურთისთვის სახიფათოა“.

ირაკლი გამყრელიძე

ოქროს სკამი



ჩეზარე პრანდელი

ფლორენციის „ფიორენტინას“ მწვრთნელმა ჩეზარე პრანდელიმ ეგრეთ წოდებული „ოქროს სათადარიგოთა სკამის“ ჯილდო მოიპოვა. იგი გასული სეზონის სერია A-ს საუკეთესო ტექნიკოსად აღიარეს. მოგეხსენებათ, 2005-06 წლების სეზონში მან ფლორენციის „ფიორენტინა“ მეოთხე ადგილზე გაიყვანა. მართალია, კალჩოპოლის განაჩენის გამო „იებს“ ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის საშუალება არ მიეცათ და ეს სეზონიც მინუს 15 ქულით დაიწყეს, მაგრამ პრანდელის შრომა მაინც დაუფასდა.

დაჯილდოების ცერემონიალი კოვერჩანოში გაიმართა. მარჩელო ლიპისა და მუნდიალის მომგებ იტალიის ნაკრების მთელ სამწვრთნელო შტაბს სპეციალური ჯილდო გადაეცა. „ვერცხლის სათადარიგოთა სკამის“ ლაურიატი კი „სპეციას“ თავკაცი ანტონიო სოდა გახდა.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი ჯილდო ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რადგან შრომა ჩემმა კოლეგებმა დამიფასეს. მინდა, მადლობა გადავუხადო მთელ ჩემს სამწვრთნელო შტაბს, რომელიც ხშირად ჩრდილშია, მაგრამ ეს აღიარება მათაც ეკუთვნით. ჩვენს წარმატებაში კლუბის ხელმძღვანელობას დიდი წვლილი მიუძღვის, რომელიც ყველა პირობას გვიქმნის და სამუშაოდ საჭირო ენთუზიაზმი ყოველთვის მაქვს. სიმართლე გითხრათ, არ ველოდი ამ ჯილდოს, მეგონა, მას ზედიზედ მეორედ ლუჩანო სპალეტი მოიპოვებდა. „რომამ“ გასული სეზონი, განსაკუთრებით მისი მეორე ნაწილი, ბრწყინვალედ ჩაატარა“ — განაცხადა პრანდელიმ.

აღსანიშნავია, რომ „ფიორენტინას“ წინა მწვრთნელებს აქამდე ეს ჯილდო არ მოეგოთ. ვთქვათ ისიც, რომ ფლორენციელთა თავდამსხმელი ადრიან მუტუ რუმინეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და დაჯილდოების ცერემონიალზე დასასწრებად იგი რამდენიმე დღით სამშობლოში გაემგზავრა.

გიორგი ძაძაგაძე

ფეხბურთის რუკასთან

ინგლისური „ვესტ ჰემის“ მწვრთნელად „ჩარლტონის“ ყოფილი თავკაცი ალან კერბიშლი დანიშნეს. მან შეცვალა ორშაბათს მოხსნილი ალან პერდიუ, რომელიც „ბოლტონთან“ 0:4 მარცხს გადააყოლეს. კერბიშლის „ვესტ ჰემში“ უთამაშია 1975-1979 წლებში. „ძალიან მოხარული ვარ, რომ ალანი ჩვენს წინადადებას დაყაბულდა — განაცხადა „ჩაქუჩების“ ახალმა პატრონმა ეგერტ მაგნუსონმა — მას უდიდესი გამოცდილება აქვს და დარწმუნებული ვარ, „ვესტ ჰემს“ კრიზისიდან გამოყვანს“.

ესპანური „სარაგოსას“ თავდამსხმელმა ანხელ ლაფიტამ კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე გაახანგრძლივა. 22 წლის მეგოლეს ხელშეკრულების ვადა მომავალ ზაფხულში ეწურებოდა. მისი დებიუტი „სარაგოსაში“ შარშან შედგა, ამჯერად კი „რასინგთან“ პირველი გოლი გაიტანა.

ინგლისური „რედინგის“ მცველი იბრაჰიმა სონკო გუნდში კიდევ სამწლინახევრით დარჩება. 25 წლის სენეგალელმა „რედინგის“ მაისურით უკვე 110 მატჩი ითამაშა და მისით სულ უფრო და უფრო კმაყოფილები არიან.

კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციამ უარი თქვა უცხოელი მწვრთნელის მიწვევაზე და ეროვნული გუნდი იქაური „დეპორტივოს“ თავკაც ხორხე ლუის პინტოს ჩააბარა. „აღმასრულებელმა კომიტეტმა თითქმის ერთხმად აირჩია პინტო — განაცხადა ფედერაციის პრესმდივანმა ხერმან კოლოსუსმა — ამჟამად კონტრაქტის ფინანსურ დეტალებს ვაზუსტებთ“.

ესპანური „სევილიას“ ფორვარდმა ფრედერიკ კანუტმა შესაძლოა, დღეს „ალკმაართან“ მატჩში ვერ ითამაშოს. მან ვარჯიშზე ნეკნი იტკინა. კანუტის გარდა სევილიელებს დაშავებული ჰყავთ ენცო მარესკა და ივიცა დრაგუტინოვიჩი.

ფრანგულმა „ნანტმა“ ფაბიენ ბარტეზს ექვსთვიანი კონტრაქტი შესთავაზა. საფრანგეთის ნაკრების ყოფილ მეკარეს წინა სეზონის ბოლოს „მარსელთან“ ხელშეკრულება დაუსრულდა და მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ აღარ უთამაშია. „ნანტის“ მენეჯერმა ჟორჟ ეომ დაადასტურა, რომ ბარტეზს კონტრაქტზე ესაუბრა.

ესპანურმა „ხეტაფემ“ კიევის „დინამოსგან“ ნახევარი წლით ითხოვა მარის ვერპაკოვსკისი. საჭიროების შემთხვევაში ხეტაფელები ფორვარდის კონტრაქტს გამოისყიდიან. „ცხადია, კმაყოფილი ვარ — თქვა ვერპაკოვსკისმა — პრემერადივიზიონი უმაღლესი დონეა და საინტერესო იქნება, შევძლებ თუ არა თავის გამოჩენას“.

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		16 დეკემბერი						
16:45	6	ხარლტონი-ლიუტონი	5.50	3.50	1.60	2.13	1.23	1.09
19:00	7	ნიუკასლი-უოტფორდი	1.55	3.50	6.00	1.07	1.23	2.21
19:00	8	არსენალი-პორტსმუთი	1.45	4.00	6.50	1.06	1.18	2.47
19:00	9	რედინგი-ბლეკბერნი	2.00	3.20	3.60	1.23	1.28	1.69
19:00	10	ვიგანი-შეფილდი	1.75	3.40	5.00	1.15	1.29	2.02
21:15	11	ასტონ ვილა-ბოლტონი	2.15	3.20	3.30	1.28	1.30	1.62
		17 დეკემბერი						
17:45	12	ეფერტონი-ჩელსი	6.00	3.60	1.55	2.25	1.23	1.08
19:00	13	სიტი-ტოტენჰემი	2.25	3.20	3.10	1.32	1.30	1.57
20:00	14	ვესტ ჰემი-მანჩესტერი	7.00	3.60	1.50	2.37	1.23	1.05
		18 დეკემბერი						
23:45	16	ფულჰემი-მიდლსბრო	2.00	3.20	3.75	1.23	1.30	1.72
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		15 დეკემბერი						
23:45	17	ლუტონი-საუთენდი	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
		16 დეკემბერი						
19:00	18	ბარნლი-ხანდერზფილდი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
19:00	19	კოლჩესტერი-სტოკი	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
19:00	20	დერბი-კრისტალ პალასი	1.80	3.30	4.20	1.16	1.25	1.84
19:00	21	ჰალი-კარლაილი	2.70	3.20	2.40	1.46	1.27	1.37
19:00	22	იფსვიჩი-ლიდსი	1.75	3.40	4.30	1.15	1.24	1.89
19:00	23	ლესტერი-ბარნსლი	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
19:00	24	პრესტონი-ჩლსიტეი	1.60	3.50	5.30	1.09	1.22	2.10
19:00	25	ქარ-ვულვერჰემპტონი	2.35	3.20	2.80	1.35	1.27	1.49
19:00	26	უენსდი-ბირმინგემი	2.80	3.20	2.30	1.49	1.26	1.33
19:00	27	ხაუთენდპტონი-ნორვიჩი	1.70	3.30	4.80	1.12	1.25	1.95
19:00	28	ვესტ ბრომვიჩი-ქოვენთრი	1.80	3.30	4.20	1.16	1.25	1.84
		ინგლისი. I ლიგა						
		15 დეკემბერი						
23:45	128	სკანთორპი-ბლეკპული	1.90	3.30	3.80	1.20	1.26	1.76
23:45	129	ტრანმერი-ქრიუ	1.70	3.40	4.60	1.13	1.24	1.95
		16 დეკემბერი						
18:00	130	ბრისტოლი-შილზეული	1.60	3.50	5.20	1.09	1.22	2.09
19:00	131	ჰორტ ვეილი-ბრენტფორდი	1.60	3.40	5.50	1.08	1.23	2.10
19:00	132	სეონი-კარლაილი	1.80	3.30	4.20	1.16	1.25	1.84
19:00	133	ბრეიფორდი-ნესტერფილდი	2.15	3.10	3.10	1.26	1.26	1.54
19:00	134	წელტენჰემი-როტერჰემი	2.70	3.00	2.45	1.42	1.28	1.34
19:00	135	ოლდჰემი-ბრაიტონი	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
19:00	136	დონკასტერი-სუოკელი	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69
19:00	137	ჯილინგჰემი-ბორნმუთი	1.70	3.00	4.80	1.08	1.25	1.84
19:00	138	პაღერნფილდი-ნორთჰემპტონი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
19:00	139	ნორინგჰემი-ლეიტონი	1.35	4.30	8.00	1.02	1.15	2.79
		ინგლისი. II ლიგა						
		15 დეკემბერი						
23:45	29	ჰარტლფული-რიხლეული	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
		16 დეკემბერი						
16:00	30	შრიუსბერი-ჰერეფორდი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
17:00	31	ლინკოლნი-გრიმსბი	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
19:00	32	ბარნეტი-მენსფილდი	2.10	3.20	3.30	1.26	1.28	1.62
19:00	33	ბერი-სტოკპორტი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
19:00	34	დარლინგტონი-ნორსი	2.10	3.20	3.30	1.26	1.28	1.62
19:00	35	მუსლფილდი-ავონგტონი	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
19:00	36	დონსი-ეიფოსი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
19:00	37	პიტერბრო-ნუსტერი	1.70	3.30	4.80	1.12	1.25	1.95
19:00	38	სუინდონი-რიოვერსი	1.60	3.50	5.20	1.09	1.22	2.09
19:00	39	ტორკი-ბოსტონი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
19:00	40	რექსჰემ-ეიფლსიელი	3.10	3.20	2.15	1.57	1.26	1.28
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		16 დეკემბერი						
19:00	41	ფოლკირკი-ჰიბერნიანი	2.80	3.20	2.35	1.49	1.27	1.35
19:00	42	ჰარტსი-აბერდინი	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69
19:00	43	ინვერნესი-კილმარნოკი	2.35	3.10	2.85	1.33	1.28	1.48
19:00	44	მოსერველი-დანდი იუნაიტედი	2.25	3.20	3.00	1.32	1.28	1.54
19:00	45	სტ.მირენი-დანფერმლაინი	1.85	3.20	4.10	1.17	1.27	1.79
		17 დეკემბერი						
16:30	46	რეინჯერსი-სელტიკი	2.65	3.10	2.55	1.42	1.29	1.39
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		16 დეკემბერი						
19:00	47	კლაიდი-დანდი	2.20	3.30	2.75	1.32	1.22	1.50
19:00	48	ჰამილტონი-სტ.ჯონსტონი	2.60	3.20	2.35	1.43	1.23	1.35
19:00	49	პარტიკი-ლივინგსტონი	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
19:00	50	ჭეინი-ერდრი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
19:00	51	როსი-გრეტნა	5.00	3.70	1.55	2.12	1.18	1.09
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		16 დეკემბერი						
19:00	52	ბრეჩინი-მორტონი	2.90	3.30	2.10	1.54	1.21	1.28
19:00	53	ფორფარი-პიტერჰედი	2.90	3.30	2.10	1.54	1.21	1.28
19:00	54	რეითი-ეარი	2.55	3.30	2.30	1.43	1.20	1.35
19:00	55	სტირლინგი-კუოლენბეთი	1.70	3.50	4.10	1.14	1.20	1.88
19:00	56	სტრანრაერი-ალოა	2.25	3.30	2.60	1.33	1.20	1.45

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		16 დეკემბერი						
19:00	57	დამბარტონი-ისტ ფაიფი	2.50	3.30	2.40	1.42	1.22	1.38
19:00	58	ელგინი-არბროთი	5.50	3.80	1.45	2.24	1.14	1.04
19:00	59	მონტროზი-ბერვიკი	2.50	3.30	2.35	1.42	1.21	1.37
19:00	60	ქუინს პარკი-ისტ სტირლინგი	1.30	5.00	6.50	1.03	1.08	2.82
19:00	61	სტენჰაუსერი-ალბიონი	1.72	3.40	3.90	1.14	1.19	1.81
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		15 დეკემბერი						
23:30	62	ბოხუმი-მიონხენგლადბახი	2.20	3.20	3.20	1.30	1.30	1.60
		16 დეკემბერი						
18:30	63	ალემანია-აუგსბურგი	2.70	3.10	2.50	1.44	1.29	1.38
18:30	64	არმინია-შალკე	3.40	3.10	2.10	1.62	1.29	1.25
18:30	66	კოტბუსი -შტუტგარტი	3.35	3.10	2.15	1.61	1.30	1.26
18:30	68	ჰერტა-აინტრახტი	1.70	3.30	5.00	1.12	1.26	1.98
18:30	69	მაინცი-ბაიერნი	6.50	3.50	1.53	2.27	1.23	1.06
18:30	71	ნიურნბერგი-ჰანოვერი	1.95	3.10	3.80	1.19	1.28	1.70
		17 დეკემბერი						
20:00	72	დორტმუნდი-ლევერკუზენი	2.15	3.10	3.30	1.26	1.30	1.59
20:00	73	ვერდერი-ვოლფსბურგი	1.40	4.10	7.00	1.04	1.16	2.58
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		15 დეკემბერი						
21:00	76	კარლ ცეისი-აუგსბურგი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
21:00	77	კიოლნი-კაიზერსლაუტერნი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
21:00	78	უნტერჰახინგი-ჰანსა	3.30	3.20	2.00	1.62	1.24	1.23
		17 დეკემბერი						
17:00	79	ბრაუნშვაიგი-ოფენბახი	2.35	3.10	2.70	1.33	1.25	1.44
17:00	80	კარლსრუე-ფიურტი	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
17:00	81	კობლენცი-ფრაიბურგი	2.30	3.10	2.75	1.32	1.25	1.45
17:00	82	პაღერბორნი-ბერგჰაუზენი	1.95	3.10	3.50	1.19	1.25	1.64
17:00	83	ეხენი-დუისბურგი	3.10	3.10	2.10	1.54	1.25	1.25
		18 დეკემბერი						
23:15	84	მიუნხენი 1860-აუგ	1.95	3.10	3.50	1.19	1.25	1.64
		იტალია. სერია A						
		16 დეკემბერი						
23:30	85	უდინეზე-კალიარი	1.95	3.00	4.00	1.18	1.31	1.71
21:00	86	ფიორენტინა-მილანი	2.50	3.00	2.80	1.36	1.32	1.44
		17 დეკემბერი						
18:00	87	ასკოლი-ტორინო	2.65	3.00	2.70	1.40	1.33	1.42
18:00	89	კატანია-ემპოლი	2.05	3.00	3.65	1.21	1.31	1.64
18:00	90	ინტერი-მესინა	1.18	5.50	15.00	1.00	1.09	4.02
18:00	92	ლივორნო-ლაციო	2.50	3.00	2.80	1.36	1.32	1.44
18:00	93	პარმა-კიეტი	2.15	3.00	3.40	1.25	1.31	1.59
18:00	94	რეჯინა-სამპდორია	2.20	3.00	3.30	1.26	1.32	1.57
18:00	95	სიენა-ატალანტა	2.30	3.00	3.10	1.30	1.32	1.52
23:30	96	რომა-პალერმო	1.85	3.10	4.20	1.15	1.28	1.78
		იტალია. სერია B						
		15 დეკემბერი						
22:00	98	კრეტონეზე-ჰელვარა	1.70	3.00	5.50	1.08	1.29	1.94
23:45	99	იუვენტუსი-ნეფოლი	1.15	5.50	15.00	1.00	1.06	4.02
		16 დეკემბერი						
19:00	100	ალბინოლეფფე-ტრევისო	1.95	2.70	4.30	1.13	1.34	1.65
19:00	101	ბრეშა-სამპდორია	1.90	2.80	4.10	1.13	1.29	1.66
19:00	102	ჯენოა-ფროზინონე	1.50	3.30	6.00	1.03	1.20	2.12
19:00	103	ლეჩე-ბარი	2.20	2.80	3.30	1.23	1.32	1.51
19:00	104	მოდენა-ვიჩენცა	1.95	2.80	4.10	1.14	1.32	1.66
19:00	105	ნაპოლი-მანტოვა	1.80	2.80	5.00	1.09	1.32	1.79
19:00	106	რიმინი-პიაჩენცა	2.15	2.70	3.50	1.19	1.33	1.52
19:00	107	ტრიესტინა-ბოლონია	2.60	2.70	2.80	1.32	1.34	1.37
19:00	108	ვერონა-არეცო	1.90	2.80	4.20	1.13	1.30	1.67
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		16 დეკემბერი						
23:00	145	დეპორტივო-ბილბაო	2.00	3.10	3.50	1.21	1.27	1.64
23:00	147	მალიორკა-რასინგი	2.05	3.00	3.60	1.21	1.30	1.63
23:45	152	სარაგოსა-ვალენსია	2.30	3.00	3.10	1.30	1.32	1.52
		17 დეკემბერი						
23:45	140	ატლეტიკო-ხეტაფე	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
22:00	143	ესპანიოლი-რეალი	3.80	3.20	2.00	1.73	1.31	1.23
20:00	146	ლევანტე-სელტა	2.50	3.00	2.80	1.36	1.32	1.44
20:00	148	უელვა-სევილია	3.20	3.10	2.15	1.57	1.28	1.26
20:00	149	ხოხო�დი-ტარაგონა	1.95	3.20	3.80	1.21	1.28	1.73
20:00	151	ვილიარეალი-ოსასუნა	1.80	3.30	4.30	1.16	1.26	1.86
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		16 დეკემბერი						
21:30	153	სიუდადი-ალბასეტე	2.05	2.90	3.70	1.20	1.31	1.62
21:30	154	ელჩე-მურსია	2.50	2.90	2.70	1.34	1.29	1.39
23:30	155	ლას პალმასი-ნუმანსია	2.30	2.80	3.10	1.26	1.32	1.47
21:30	157	მალაგა -გეტაფე	1.85	3.00	3.90	1.14	1.25	1.69
21:30	158	ხიხონ-ალავესი	2.25	2.80	3.20	1.24	1.32	1.49
23:30	159	პონფერადინა-ალმერია	2.50	2.90	2.70	1.34	1.29	1.39
21:00	160	რეალი(ბ)-ვალენსიერეი	1.65	3.20	5.00	1.08	1.24	1.95
21:00	162	ვალიადოლიდი-კასტელონი	1.65	3.20	5.10	1.08	1.24	1.96

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 დეკემბერი						
20:00	156	ლიორკა-კადისი	2.40	2.80	2.90	1.29	1.31	1.42
15:00	161	სალამანკა-სპორტინგი	2.10	2.90	3.35	1.21	1.29	1.55
20:30	163	ხერესი-ხერეზლესი	1.70	3.10	4.80	1.09	1.25	1.88
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		16 დეკემბერი						
23:00	164	ლე მანი-ტულუზი	2.20	3.00	3.30	1.26	1.32	1.57
23:00	165	მონაკო-ხიმძი	2.25	3.00	3.20	1.28	1.32	1.54
20:10	167	ნანსი-მარსელი	2.25	2.90	3.30	1.26	1.33	1.54
23:00	168	ნანტი-ბორდო	2.75	2.90	2.60	1.41	1.33	1.37
23:00	170	რენი-ტრუა	1.65	3.20	5.90	1.08	1.28	2.07
23:00	172	სედანი-ლილი	3.30	3.10	2.10	1.59	1.28	1.25
23:00	174	სტეტიენი-ვალენსიენი	1.55	3.30	7.20	1.05	1.27	2.26
		17 დეკემბერი						
18:00	169	ჩეკ-ნიცა	1.80	3.10	4.70	1.13	1.30	1.86
21:00	176	ოსერი-ლიორანი	2.05	3.00	3.65	1.21	1.31	1.64
23:45	177	ლანსი-ლიონი	3.40	3.00	2.15	1.59	1.31	1.25
		ბელგია. I დივიზიონი						
		15 დეკემბერი						
23:30	179	სტანდარდი-შუსკრიონი	1.30	4.50	9.00	1.00	1.13	3.00
		16 დეკემბერი						
23:00	180	ანდერლეხტი-ანტი	1.15	6.00	15.00	1.00	1.06	4.28
23:00	181	ბეკერენი-სტეტიენი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
23:00	182	ვეჩი-ბრიუგელი	1.30	4.50	9.50	1.00	1.14	3.05
23:00	183	გენტი-ვესტერლო	1.65	3.50	5.00	1.12	1.24	2.05
23:00	184	ლიერსი-ლიკერენი	3.10	3.20	2.15	1.57	1.26	1.28
23:00	185	რუსელარე-ბეერსხოტი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
		17 დეკემბერი						
21:00	186	ხერეკლი-ბრიუგე	7.00	4.00	1.40	2.54	1.16	1.03
23:30	187	ვარეგემი-შარლეროა	2.55	3.20	2.50	1.41	1.26	1.40
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		15 დეკემბერი						
23:15	197	ჩვ-ჰერაკლესი	1.10	7.00	20.00	1.00	1.04	5.18
		16 დეკემბერი						
22:30	199	დენ ჰაგი-ტილბურგი	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
22:30	200	რიდა-ვიტესი	1.80	3.30	4.10	1.16	1.25	1.82
23:00	202	სპარტა-ბრედა	2.10	3.30	3.10	1.28	1.25	1.59
		17 დეკემბერი						
17:30	201	ალკმაარი-გრონინგენი	1.35	4.30	7.50	1.02	1.14	2.73
15:30	203	ექსელსიორი-აიაქსი	7.00	4.00	1.38	2.54	1.15	1.02
15:30	205	ვალვიკი-ნაიმეგენი	2.30	3.30	2.75	1.35	1.25	1.50
15:30	206	უტრეხტი-ფეიენორდი	2.90	3.30	2.20	1.54	1.25	1.32
17:30	207	წვენტე-ხერენვეინი	1.70	3.50	4.50	1.14	1.23	1.96
		პორტუგალია. სუპერლიგა						
		15 დეკემბერი						
23:45	223	პარიტუმ-ბელენენსესი	1.80	3.30	4.10	1.16	1.25	1.82
		16 დეკემბერი						
23:00	221	ბენფიკა-სეტუბალი	1.20	5.30	12.00	1.00	1.09	3.67
23:45	226	სპორტინგი-�ეიმა	1.23	5.20	10.00	1.00	1.09	3.42

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 დეკემბერი						
20:00	219	ამადორა-ავეირი	1.75	3.30	4.30	1.14	1.24	1.86
20:00	220	ბეირა მარი-ნასიონალი	2.80	3.20	2.30	1.49	[illegible]	[illegible]
20:00	224	ნავალი-ლეირია	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	[illegible]
23:15	225	პორტუ-ფეირეირა	1.20	5.50	13.00	1.00	1.09	3.86
		18 დეკემბერი						
23:45	222	ბრაგა-ბიაგეშტა	1.75	3.30	4.30	1.14	1.24	1.86
		საბერძნეთი. 16 დეკემბერი						
19:00	235	ატრიუმეტოსი-არისი	2.20	2.90	3.30	1.25	1.32	1.54
19:00	236	ირაკლისი-ქანანი	2.30	2.90	3.10	1.28	1.32	1.49
		17 დეკემბერი						
17:00	237	ეგალეო-ერგოტელისი	1.70	3.20	4.90	1.11	1.26	1.93
17:00	238	ოლიმპია-კალამარია	1.75	3.20	4.80	1.13	1.28	1.91
18:45	239	კერკირა-პანათინაიკოსი	7.70	3.80	1.40	2.54	1.18	1.02
19:00	240	ოფეი-პაოკ	2.40	2.90	2.90	1.31	1.31	1.45
21:00	241	აეკ-პანიონიოსი	1.25	4.80	11.00	1.00	1.12	3.34
21:00	242	ოლიმპიაკოსი-იონიკოსი	1.10	7.00	18.00	1.00	1.03	5.03
		უეფას თასი						
		14 დეკემბერი						
23:45	251	ოსერი-ლივორნო	1.75	3.20	4.50	1.13	1.25	1.87
23:45	252	ბრაგა-გრასჰოპერი	1.20	5.00	13.00	1.00	1.09	3.61
23:45	253	ჰერენვეინი-ლანსი	2.75	3.10	2.40	1.45	1.28	1.35
23:30	254	ლევერკუზენი-ბეშიქთაში	1.65	3.50	5.00	1.12	1.24	2.05
23:45	255	პარმა-ოსასუნა	3.20	2.80	2.30	1.49	1.33	1.26
23:45	256	რეინჯერსი-პარტიანი	1.45	3.60	6.70	1.03	1.19	2.34
23:45	257	სევილია-ალკმაარი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
23:45	258	ტოტენჰემი-დინამო(ბქ)	1.55	3.50	6.00	1.07	1.23	2.21
		მსოფლიოს ჩემპიონატი კლუბებს შორის .იაპონია						
		14 დეკემბერი						
14:20	416	ბარსელონა-აპერიკა	1.30	4.20	8.50	1.00	1.12	2.81
		ჰოკეი. გერმანია						
		14 დეკემბერი						
22:30	401	იხერლონი-კიოლნი	2.20	4.20	2.15	1.44	1.08	1.42
		15 დეკემბერი						
22:30	402	კრეფელდი-ფრანკფურტი	2.15	4.20	2.20	1.42	1.08	1.44
22:30	403	დუისბურგი-აუგსბურგი	2.10	4.20	2.20	1.39	1.07	1.44
22:30	404	ინსბარუნი-სტრაუბინგი	1.35	4.60	5.00	1.04	1.06	2.39
22:30	405	ნიურნბერგი-ინგოლშტადი	2.10	4.20	2.20	1.39	1.07	1.44
22:30	406	პანიუგერი-მანჰაიმი	2.10	4.20	2.20	1.39	1.07	1.44
22:30	407	პადბურგი-დიუსელდორფი	2.10	4.20	2.20	1.39	1.07	1.44
		კალათბურთი. ევროლიგა						
		14 დეკემბერი						
22:45	585	ფალეგრენსი-ბენეტონი	1.70	12.00	1.90	1.48	1.00	1.64
22:45	586	პრიკიში-ეფესი	1.70	12.00	1.90	1.48	1.00	1.64
22:45	587	პანათინაიკოსი-ხეზერეელი	1.06	12.00	6.00	1.00	1.00	4.00
23:15	588	ერეგლი-დინამო	2.50	12.00	1.45	2.06	1.00	1.29
23:45	589	პარტიზანი-რიგა	1.40	12.00	2.60	1.25	1.00	2.13
23:45	590	ბარსელონა-ოლტეხი	1.15	12.00	4.50	1.04	1.00	3.27
23:45	591	უნიკახა-ბაკაბი	1.70	12.00	1.90	1.48	1.00	1.64
23:45	592	ოლიმპია-ციბონა	2.10	12.00	1.65	1.78	1.00	1.45

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10251	ოსერი-ლივორნო	2.35	2.10	4.75	1.10	1.57	1.45
10252	ბრაგა-გრასჰოპერი	1.50	2.80	9.00	1.00	1.28	2.13
10253	ჰერენვეინი-ლანსი	3.10	2.00	3.10	1.21	1.54	1.21
10254	ლევერკუზენი-ბეშიქთაში	2.15	2.10	5.40	1.06	1.53	1.51
10255	პარმა-ოსასუნა	3.30	1.90	3.20	1.20	1.62	1.19
10256	რეინჯერსი-პარტიანი	1.85	2.30	6.50	1.02	1.44	1.69
10257	სევილია-ალკმაარი	2.10	2.10	5.50	1.04	1.51	1.51
10258	ტოტენჰემი-დინამო(ბქ)	1.95	2.20	6.00	1.03	1.47	1.60

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11251	ოსერი-ლივორნო	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11252	ბრაგა-გრასჰოპერი	1.40	15.00	40.00	3.50	6.00	17.00	25.00	17.00	17.00
11253	ჰერენვეინი-ლანსი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11254	ლევერკუზენი-ბეშიქთაში	2.50	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11255	პარმა-ოსასუნა	4.50	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11256	რეინჯერსი-პარტიანი	2.00	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11257	სევილია-ალკმაარი	2.35	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11258	ტოტენჰემი-დინამო(ბქ)	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12251	ოსერი-ლივორნო	1.70	1.90
12252	ბრაგა-გრასჰოპერი	1.90	1.70
12253	ჰერენვეინი-ლანსი	1.90	1.70
12254	ლევერკუზენი-ბეშიქთაში	1.90	1.70
12255	პარმა-ოსასუნა	1.70	1.90
12256	რეინჯერსი-პარტიანი	1.70	1.90
12257	სევილია-ალკმაარი	1.90	1.70
12258	ტოტენჰემი-დინამო(ბქ)	1.70	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13251	ოსერი-ლივორნო	1.70	1.90
13252	ბრაგა-გრასჰოპერი	1.90	1.70
13253	ჰერენვეინი-ლანსი	1.70	1.90
13254	ლევერკუზენი-ბეშიქთაში	1.70	1.90
13255	პარმა-ოსასუნა	1.70	1.90
13256	რეინჯერსი-პარტიანი	1.90	1.70
13257	სევილია-ალკმაარი	1.70	1.90
13258	ტოტენჰემი-დინამო(ბქ)	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე უსრული ფაფუჭდება)

14251	ოსერი-ლივორნო	1.60	2.30
14252	ბრაგა-გრასჰოპერი	1.05	2.90
14253	ჰერენვეინი-ლანსი	1.90	1.80
14254	ლევერკუზენი-ბეშიქთაში	1.30	2.50
14255	პარმა-ოსასუნა	1.95	1.70
14256	რეინჯერსი-პარტიანი	1.20	2.60
14257	სევილია-ალკმაარი	1.30	2.50
14258	ტოტენჰემი-დინამო(ბქ)	1.25	2.55

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15251	ოსერი-ლივორნო	3.00	2.80	2.00
15252	ბრაგა-გრასჰოპერი	3.00	2.80	2.00
15253	ჰერენვეინი-ლანსი	3.00	2.80	2.00
15254	ლევერკუზენი-ბეშიქთაში	3.00	2.80	2.00
15255	პარმა-ოსასუნა	3.00	2.80	2.00
15256	რეინჯერსი-პარტიანი	3.00	2.80	2.00
15257	სევილია-ალკმაარი	3.00	2.80	2.00
15258	ტოტენჰემი-დინამო(ბქ)	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16251	ოსერი-ლივორნო	1.30	2.90
16252	ბრაგა-გრასჰოპერი	1.05	5.70
16253	ჰერენვეინი-ლანსი	1.95	1.65
16254	ლევერკუზენი-ბეშიქთაში	1.25	3.20
16255	პარმა-ოსასუნა	1.95	1.65
16256	რეინჯერსი-პარტიანი	1.15	3.90
16257	სევილია-ალკმაარი	1.20	3.50
16258	ტოტენჰემი-დინამო(ბქ)	1.18	3.90

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

17251	ოსერი-ლივორნო	1.85	1.95
17252	ბრაგა-გრასჰოპერი	1.85	1.95
17253	ჰერენვეინი-ლანსი	1.85	1.95
17254	ლევერკუზენი-ბეშიქთაში	1.85	1.95
17255	პარმა-ოსასუნა	1.85	1.95
17256	რეინჯერსი-პარტიანი	1.85	1.95
17257	სევილია-ალკმაარი	1.85	1.95
17258	ტოტენჰემი-დინამო(ბქ)	1.85	1.95

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

საქართველოს ჩემპიონატი ჰლეი ოფი. „შევარდენი“

ლოკომოტივის მეექვსე ოქროს ვაგონი

ბადრი ჯმელაძის ფოტო

13 დეკემბერი

ფინალი

ლოკომოტივი 27:13 დინამო

ლოკომოტივი: ასათიანი, უდესიანი, გილაური, ხაჩირაშვილი, ბერძენიშვილი; კვინიხიძე, ღვინჯილია; მაისურაძე, მხეიძე, ყურაშვილი, კორკოტაძე, მთიულიშვილი, მაღალდაძე, ტურაშვილი, ნიშნიანიძე
შეცვლაზე შევიდნენ: გუგავა, ჩიხლაძე, ანდღულაძე, კახიანი, მგელაძე, ბერიაშვილი
5 ლელო: კორკოტაძე, კვინიხიძე, გუგავა, ასათიანი, ღვინჯილია
1 გარდ: კვინიხიძე
დინამო: შუბითიძე, ოდიშარია, მაისურაძე, ხვიჩია, გრუდკო; ავლოხაშვილი, რამიშვილი; ცხადაძე, ხორბალაძე, გუგუშვილი, უჩავა, მეიშვილი, ხმიადაშვილი, ნატრიაშვილი, მიქია
შეცვლაზე შევიდნენ: ღირსიაშვილი, მირცხულავა
1 ლელო: უჩავა
1 გარდ: უჩავა; **2 საჯ:** უჩავა
მსაჯი: მიხეილ ჩაჩუა

ნებისმიერი ფინალი ამა თუ იმ ტურნირის გვირგვინია და ყველას სურს, რომ ბოლო მატჩში ამ ტურნირის მშვენება გახდეს. ეს ფინალი ნამდვილად არ გამოვიდა ურიგო, ლელოებიც ბლომად გავიდა, ოღონდ საქმე ისაა, რომ ისინი ძირითადად ერთ გუნდს გაჰქონდა.

წლეულს მოძლიერებულ „დინამოს“ ბევრი ლამის ფავორიტადაც თვლიდა — ფინალში პირველად გავიდა, მაგრამ მძლავრი შერკინება ჰყავსო, თუმც ახალმა ფინალისტმა მოქმედ ჩემპიონ „ლოკომოტივს“ ფიზიკური ძალის გარდა საერთოდ ვერაფერი დაუპირისპირა. ის კი არა, ძალითაც ბევრს ვერაფერს გახდა.

„ლოკომოტივმა“ კი ჭეშმარიტად ჩემპიონის საკადრისი მრავალფეროვნებით იბურთავა. „დინამოს“ ფორვარდებს „ლოკოს“ მორკინალები ყოჩაღად დაუდგნენ და არაფერი დაუთმეს, უკანახაზელებმა, განსაკუთრებით კი ნახევარმცველებმა — ღვინჯილიამ და კვინიხიძემ ოპონენტებს თავგზა აუბნიეს და პირწმინდად მოუგეს თამაში.

მორკინალები თავიდანვე ისე თავგანწირვით შეიბნენ, კაცი იფიქრებდა, ერთმანეთს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის აკლავენ თავსო. „დინამოს“ შერკინებამ მალევე მოიპოვა საჯარიმო დარტყმის უფლება, მაგრამ მათმა ზორბა მეორეხაზელმა უჩავამ ძალიან ხელსაყრელი პოზიციიდან ძელს გაარტყა ბურთი.

ანგარიში კი რამდენიმე წუთში „ლოკომოტივმა“ გახსნა. ჩემპიონთა მორკინალებმა ბურთი „დინამოს“ ჩათვლის მოედნამდე მიიტანეს, მაგრამ მიზნამდე ორიოდ მეტრი რომ რჩებოდა, ერთ-ერთ მოიერიშეს ბურთი წინ გაუვარდა. „ლოკოს“ შეტევა ამით არ ამოწურულა, გუნდმა მალევე შორიახლო მოიპოვა ბურთი და ამჯერად მათი მორკინალები სალელოვედ მიაწვნენ მეტოქეს — 5:0. ბობა კვინიხიძემ გარდასახვა ააცილა.

„დინამომ“ მიძალებით და უჩავას საჯარიმოთი უპასუხა. კახას მალე მიეცა კიდევ ორი დარტყმის საშუალება — პირველი ააცილა, მეორე კი შეაგდო და „დინამო“ 6:5 დაწინაურდა. როგორც შემდეგ გაირკვა, „პრეტენდენტი“ პირველად და უკანასკნელად გავიდა წინ.

„ლოკოს“ ჯერი რომ დადგა, „დინამომ“ კიდევ ერთხელ იწვნია შეკრული გუნდის და გამოცდილების ძალა. „ლოკოს“ ფორვარდებმა ზორბა დინამოელები ზედახორაში ჩაითრიეს, შემდეგ კი ბურთი ხაზში რომ გაათამაშეს, ბობა კვინიხიძის ცრუმოძრაობებით და ცრუპასებით დაბნეულმა „დინამოს“ ხაზელებმა მოიერიშე მხოლოდ და მხოლოდ მიაცილეს საკუთარ ლელომდე, თორემ ხელი ვერაფრით შეუშალეს. კვინიხიძემ თავისივე ლელო გარდასახა, გუნდი 12:6 დაწინაურა და პირველი ნახევარიც ასე მორჩა.

მეორე ტაიმი ჩემპიონთა მიძალებით დაიწყო. კვლავ ლელოსთან მოიმწყვდიეს ლოკომოტიველებმა მოწინააღმდეგე და კვლავ მოიგერია „დინამომ“ პირველი იერიში, მაგრამ რად გინდა, თავი იჩინა ისევ და ისევ ხაზის თავდაუჯერებლობამ და შეცდომებმა. „დინამოს“ უჭირდა ბურთის დაცვიდან ამოტანა და მანძილის მოგება. „ლოკო“ კი ადრე თუ გვიან მოპოვებულ ბურთს უნარიანად ათამაშებდა და გონივრული თავზეხელაღებით უტევდა. გუგავა, ასათიანი, ღვინჯილია — ამათი ლელოები ერთმანეთზე უკეთესები იყო (კვინიხიძემ ვერცერთი ვერ გარდასახა). განსაკუთრებით კი მომცრო და მოუხელთებელი ღვინჯილიას გარღვევა ღირდა ნახვად.

„ლოკომოტივმა“ ტაიმნახევარში სულ 5 ლელო გაიტანა და 27:6 დაწინაურდა. ფინალის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო, ჩემპიონი — გამოკვეთილი. „დინამო“ იმასღა ცდილობდა, დარჩენილ დროში პრესტიჟის ლელო მაინც გაეტანა და საჩემპიონო ჯახიდან მთლად ხელცარიელი არ გამოსულიყო, თორემ ქართულ რაგბის ასპელი ჩემპიონი რომ აღარ ეყოლებოდა, ამას სხვებზე არანაკლებ ხვდებოდნენ „ლოკომოტივის“ ვერმჯობნი დინამოელები.

ეს ლელოც გავიდა, რა გასაკვირია და, ძალისმიერი, რომელიც კახა უჩავამ დააბიწა, შემდეგ ოავადვე გარდასახა და თავისი გუნდის 13-ვე ქულა მას დაეწერა.

ორ წუთში კი თამაშიც დამთავრდა და საქართველოს ექვსგზის ჩემპიონმა „ლოკომოტივმა“ ამავდარი თავკაცი თემურ ბენდიაშვილი ზრიალ-გრიალით შეათამაშა ბაღში. ძველ-ახალი ჩემპიონები რაგბის კავშირის პრეზიდენტმა და ამავდროულად სახელმწიფო მინისტრმა მერაბ ანთაძემ გარდამავალი ბზის თასით დააჯილდოვა და ქართული რაგბიც ზამთრის არდადეგებზე წავიდა.

ირაკლი ფირაზვილი

ყოჩებმა ლელოს ხუთ ლელოს გაუძლეს

13 დეკემბერი

მესამე ადგილისთვის

ყოჩები 32:31 ლელო

ყოჩები: კობერიძე, გ. ნიჟარაძე, დადეშიანი, კაჭარავა, ელოშვილი; მალაღურაძე, გეგენავა; ჯორჯაძე, ლუდუშაური, ანჯაფარიძე, არჩუაშვილი, ჭავჭავაძე, დ. ნიჟარაძე, ასეიშვილი
შეცვლაზე შევიდნენ: შენგელია, კიკნაველიძე
4 ლელო: გეგენავა (2), გ. ნიჟარაძე, კაჭარავა
2 გარდ: მალაღურაძე (2), გეგენავა; **2 საჯ:** მალაღურაძე
სინბინი: დ. ნიჟარაძე
ლელო: თოდუა, ვაშაკიძე, ქიზიყურაშვილი, ფირფილაშვილი, ცერცვაძე; ხმალაძე, ზაალიშვილი; ჩიტიძე, დაუშვილი, ჯამრულიძე, მაისურაძე, რამაზაშვილი, ქუბრიაშვილი, ცხოვრებაშვილი, სანიკიძე
შეცვლაზე შევიდა: ცხაკაია
5 ლელო: დაუშვილი, ჯამრულიძე, ქუბრიაშვილი, თოდუა, ქიზიყურაშვილი
3 გარდ: თოდუა
მსაჯი: უჩა ნარიმანაშვილი

ზამთრისგან ისედაც შელახული „შევარდენის“ მოედანი ფინალამდე გათქერეს მცირე ფინალში მესამე ადგილისთვის შეჯახებულმა „ყოჩებმა“ და „ლელომ“. ისევე, როგორც ბრინჯაოსთვის თამაშთა უმრავლესობა, ეს მატჩიც ღია და ლაღი გამოდგა. მოწინააღმდეგეები არა მხოლოდ ჯანის ხარჯზე ცდილობდნენ ქულების გროვებას და ლელოებიც ბლომად გავიდა.

ერთი კვირის წინ ნახევარფინალში „ლოკომოტივთან“ ვაჟკაცურად ნაბრძოლმა „ყოჩებმა“ ეს შეხვედრაც ყოჩაღად დაიწყეს და გეგენავასა და ნიჟარაძის ლელოებით 14:0 დაწინაურდნენ. „ლელომ“ ერთი ლელო კი გაატანა, მაგრამ მალე კიდევ ერთი მიიღო საკუთარ ჩათვლის მოედანში და 21:5 რომ ჩამორჩა, ბევრმა საქმე მოთავებულად ჩათვალა. ბევრმა, მაგრამ არა „ლელოებმა“. 2004 წლის ჩემპიონებმა გუნდური და თოდუას ლელოებით უცებ 14 ქულა მოიხვეჭეს და 2-მდე შეამცირეს სხვაობა. პირველი ტაიმი „ყოჩების“ დამრტყმელ მალაღურაძის საჯარიმოთი და 24:19 ანგარიშით დასრულდა.

მეორე ნახევარი „ლელოს“ გუნდური ლელოთი დაიწყო, ოღონდ თოდუამ გარდასახვა ააცილა და თავისი გუნდის დაწინაურების შანსი გაუშვა ხელიდან — 24:24. „ლელომ“ მაინც მოახერხა წინ გასვლა, როცა „ყოჩელი“ მალაღურაძის კიდევ ერთ საჯარიმოს ქიზიყურაშვილის ლამაზი დამიწებით და თოდუას გარდასახვით უპასუხა და 31:27 გავიდა წინ, მაგრამ ამ თამაშში ეს არ იყო უკანასკნელი ლელო. უკანასკნელი და ყველაზე ლამაზიც „ყოჩელთა“ შუამარბმა კაჭარავამ გაიტანა და მალაღურაძის გარდასახვამ „ყოჩები“ 1 ქულით წინ წასწია — 32:31.

„ლელოებს“ საკმარისი დრო რჩებოდათ მატჩის გადასარჩენად და ცდასაც არ აკლებდნენ, მაგრამ თოდუას საჯარიმოს დარტყმისას სიზუსტემ უღალატა (საკმაოდ ახლოდან ააცილა), ერთ მის თანაგუნდელს კი — სისწრაფემ, ზედ კუთხის ალამთან მიუსწრეს „ყოჩების“ მბოჭვებმა.

ირაკლი ფირაზვილი

„ლელომ“ „ყოჩების“ ხელების ტყეში ხუთი ლელო „იპოვა“, მაგრამ მაინც დამარცხდა

ალექსანდრ ეფრემიძის ფოტო

ულების თასი 2006-07
ULEB Cup
ჯგუფური ეტაპი. VII ტური. 12 დეკემბერი

A ჯგუფი

ბროსე 80:71 აეკ

კანარია 82:73 ჰემოფარმი

ლიეტუვოს რიტასი 80:78 ნანსი

რიტასი 12, ნანსი 11, ჰემოფარმი 11, კანარია 11, აეკ 9, ბროსე 9

B ჯგუფი

ბეშიქთაში 65:71 სნაიდერო

სტრასბური 76:77 ანვილი

FMP 96:100 ვენტსპილსი

FMP 12, სტრასბური 11, ვენტსპილსი 11, სნაიდერო 11, ბეშიქთაში 9, ანვილი 9

C ჯგუფი

სიენა 85:91 ჰაპოელი

სიენა: ბოისა (11 წუთი, 1 მოხსნა)

ხიმკი 90:75 ოსტენდე

აკადემიკი 70:76 ალბა

სიენა 12, ხიმკი 11, აკადემიკი 11, ჰაპოელი 10, ალბა 10, ოსტენდე 9

D ჯგუფი

უნიკსი 94:72 ცრვენა ზვეზდა

პაოკ 53:76 რეალი

ეიფელ თაუერსი 92:73 დექსია

უნიქსი 12, ცრვენა ზვეზდა 12, რეალი 11, პაოკ 11, ეიფელი 9, დექსია 8

ვლადიმერ ბოისას სამზნე აერია

ნულოვანი ბოისა

ვლადიმერ ბოისას გუნდს უკვე ამ ტურში შეეძლო ჯგუფიდან გასვლის განაღდება, მაგრამ „სიენამ“ შინ „ჰაპოელთან“ წააგო და ეს ამბავიც სამომავლოდ გადაიდო. არადა, სიენელები იტალიაში თამაშობდნენ და უთუმცაო ფავორიტებადაც ითვლებოდნენ, მაგრამ სტუმრებმა ბოლო წუთებზე სასწაული სამქულიანები მიითვალეს და „სიენას“ ამ ულებ-ის თასზე უკვე მეორე მარცხი აჰკიდეს.

საინტერესოა, რომ სიენელებმა ჯგუფში წაგებული ორივე მატჩი ებრაელებთან დათმეს. თუკი იერუსალიმში იტალიელთა მარცხს გარკვეული გამართლება ჰქონდა, ებრაელების სიენაში გამარჯვებას სენსაციასაც კი უწოდებს კაცი. მასპინძლები ცოტათი, მაგრამ მაინც სულ ლიდერობდნენ, თუმც ბოლო წუთზე ტიმოტი ბოუერსისა და მერ ტაჰიროს სამქულიანები გაეპარათ და...

„ჩვენი ჯგუფი რომ ძლიერია, ამ მატჩის შედეგიც ადასტურებს. ბოლო მეოთხედში რამდენიმე სროლა ავიცილეთ და ამან დაცვაზეც უარყოფითად იმოქმედა. ჩემი აზრით, მაშინ წავაგეთ, როცა მესამე მეოთხედის ბოლოს ზედიზედ 3 სროლა ავიცილეთ და 2 ხელსაყრელი კონტრშეტევა გავნიავეთ“ — თქვა „სიენას“ თავკაცმა სიმონე პანიჯანიმ.

და რა ქნა ბოისამ? ვერაფერი. ვოვამ მოედანზე 11 წუთი დაყო და ამ ხნის განმავლობაში თითო სამ და ორქულიანი ააცილა. ბოისას ანგარიშზე საბოლოოდ ერთი მოხსნა იყო.

მიუხედავად წაგებისა, „სიენამ“ C ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა, რადგან მოერეზე მყოფმა „აკადემიკმაც“ წააგო და სატურნირო ვითარებაც დაიძაბა.

ირაკლი პერტაია

ხმა მიეცით ზაზა ფაჩულიას

ნბა-ს ყველა ვარსკვლავის მატჩი მომავალი თებერვლის ბოლოს გაიმართება და მასში თამაშის შანსი „ატლანტა ჰოქსის“ ქართველ ცენტრ ზაზა ფაჩულიასაც აქვს. „ოლ სტარის“ მონაწილეებს გულშემატკივარი ირჩევს და კანდიდატთა შერჩევა უკვე დაწყებულია ნბა-ს ოფიციალურ ვებგვერდზე — **www.nba.com**

— შედით ამ ვებ-გვერდის იმ განყოფილებაში, სადაც ყველა ვარსკვლავის (**All Star**) მატჩში მონაწილეობის კანდიდატთა სრულ სიას გაეცნობით.

— სულ უნდა აირჩიოთ 10 კალათბურთელი — 5 აღმოსავლეთ კონფერენციიდან და 5 დასავლეთიდან.

— ერთი კომპიუტერიდან დღეში ერთხელ შეგიძლიათ ხმის მიცემა. გამოკითხვა გაგრძელდება 21 იანვრამდე.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

უჯოო ატლანტა ჯუჯამ დაჯაბნა

12 დეკემბერი

ატლანტა 87:100 დენვერი

ატლანტა: აივი (2), კლაქსტონი (7), სმიტი (21), მ. უილიამსი (10), ფაჩულია (24 წუთი, 8 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი, 4 ჩაჭრა); ლუ (16), სტუდემაიერი (13), ბოზმანი (4), რაიტი (4), ჯონსი (2), შ. უილიამსი

დენვერი: მილერი (6), ჯ. სმიტი (17), ენტონი (26), ნახერა (2), კემბი (8 ქულა, 17 მოხსნა); ბოიკინსი (19), ილარიო (7), დიავარა (9), ევანსი (6)

მილუოკი 94:93 სიეტლი

მილუოკი: რედი (22), პატერსონი (21)

სიეტლი: ლუისი (26), ვილკოქსი (16)

ლეიკერსი 102:94 ჰიუსტონი

ლეიკერსი: ბრაიანტი (23), უოლტონი (18)

ჰიუსტონი: მინი (26), ჰედი (21)

გოლდენ სტეიტი 126:113 საკრამენტო

გოლდენ სტეიტი: ბარნსი (31), პიეტრუსი (21)

საკრამენტო: მარტინი (32), არტესტი (22)



ზაზა ფაჩულიამ ფარზე რეჯი ევანსსა და მარკუს კემბის აჯობა

„ატლანტა ჰოქსი“ ჯო ჯონსონის გარეშე რომ დიდი ვერაფერი ხვითოა, უკვე მეორე თამაშია, დასტურდება. ჯორჯიელებმა დასავლური ხუთმატჩიანი ტურნე სამი მარცხით მოილიეს და წყნარი ოკეანის ნაპირებიდან დაბრუნებულებმა მშობლიურ ქალაქში იმ „დენვერს“ დაეჩაგვრინნენ, რომელსაც გასული კვირის შუაში სტუმრად მოუგეს.

ამ ორ მატჩს შორის განსხვავება ის იყო, რომ დენვერში ჯო ჯონსონმა ითამაშა, მასპინძლები 27 ქულით დაასაჩუქრა და გამარჯვებაც, ასე თუ ისე, მის კისერზეა. უჯონსონო „ქორები“ კი ჯერ ლოს ანჯელესში დაიჩაგრნენ უკობიბრაიანტო „ლეიკერსისგან“ და ახლა მშობლიური კედლები კი ეხმარებოდნენ, მაგრამ ბურთს კედლები ვერ აგდებენ, ეს საშუალოდ 27-ქულიან ჯოს ეხერხება კარგად, მაგრამ იგი ტრავმირებულია.

არადა, პირველ ტაიმში „ქორებს“ ულხინდათ და დიდ შესვენებაზეც 11-ქულიანი ჰანდიკაპით გავდინენ. მესამეში მასპინძლებმა გვარიანად მოუკლეს და ეს ამხელა უპირატესობა ხომ გაანიავეს, ბოლო 12-წუთეულის წინ ქულითაც ჩამორჩნენ, მაგრამ, რაც ატლანტელებს მეოთხე მეოთხედში დაემართათ, სირცხვილი და თავის მოჭრაა.

გადამწყვეტი მეოთხედის დაწყებიდან მთელი 7 წუთის განმავლობაში ჯორჯილებმა ბურთი ვერ ჩაგდეს. ამ წუთებში ატლანტელებმა 13 ბურთი გააცუდეს და თუ ამას მესამე მეოთხედის ბოლოს აცდენილ 5-საც მივაბამთ, გამოდის, რომ „ქორებს“ მიჯრით 18-ჯერ ვერ უხერიათ შეტევისას.

„ისინი ატლანტაში დაცვითი თამაშისთვის ჩამოვიდნენ — თქვა დენვერელებზე ზაზა ფაჩულიამ — ჩვენ ბოლო მეოთხედში ენერგია გამოგვეცალა და რატომ, აზრზე არ ვარ“.

ფაჩულიამ დიდებულად დაიწყო ეს თამაში და პირველ მეოთხედში აკრეფილი სიჩქარე რომ შეენარჩუნებინა, კარიერის თუ არა, სეზონის საუკეთესო მატჩს უთუოდ გამოაცხობდა. ზაზამ საწყის 12-წუთეულში დენვერელებს 8 ქულა ჩაუგდო და მერე, ცოტა დაუჯერებელი კია, მაგრამ ერთი ქულაც კი აღარ მიუთვლია.

სამაგიეროდ, ფაჩულია სხვა კომპონენტებში გამოირჩა. როგორც ეკადრება, მოხსნები ისე ვერ აგროვა, 6 მოუგროვდა, თუმცა 4-4 ჩაჭრა-პასი გამოჭედა და ამ მხრივ თავისიანთაგან ლიდერებში გაერია.

ზაზა ქულებს ვერ იხვეჭდა, მაგრამ ბოლო მეოთხედში, როცა „ატლანტამ“ ის ავადსახსენებელი წუთები 1:17 წაგო, დაცვაში თავის საქმეს აკეთებდა. გოლიათი ფაჩულიას საქმე, აბა, როგორ იყო ჭინკა, 165-სანტიმეტრიანი ერლ ბოიკინსის დევნა. არადა, ჯუჯა უძახე და, ამ ბოიკინსმა ციბრუტივით ატრიალა ატლანტელთა მთელი უკანა ხაზი. საამმატჩოდ მოხვეჭილი 19 ქულიდან ბოიკინსმა 9 სწორედ ბოლო მეოთხედში ჩააგდო და „ქორებს“ მე-12 მარცხი აგემა ამ სეზონში.

ამ მატჩის გარდა, გუშინწინ ნბა-ში კიდევ 3 თამაში გაიმართა, რომელთაგან დაძაბულობით, რა თქმა უნდა, ქულის სხვაობით დასრულებული მატჩი გახლდათ „სიეტლსა“ და „მილუოკის“ შორის, თუმც არც „ლეიკერს“ — „ჰიუსტონის“ შეხვედრაში მომხდარა ნაკლები ამბები. ის კი არა, „ჰიუსტონს“ ცოტაც რომ გაეჭირვებინა და „ლეიკერსი“ დაემარცხებინა, ეს მატჩი ნბა-ს ისტორიაში შევიდოდა.

საქმე ისაა, რომ „ჰიუსტონი“ ბოლო მეოთხედში უკვე 27 ქულას აგებდა, თამაშის დასრულებამდე 10 წუთზე ნაკლები რჩებოდა და თვით ტეხასელთა თავკაციც კი შეეგუა მარცხს. ჯეფ ვან განდიმ მოედნიდან იაო მინი და შეინ ბეტიე გაიყვანა, რითაც შანსი მისცა რეზერვისტებს.

ამ მომენტისთვის უკვე აღარც კობი ბრაიანტი იყო მოედანზე. მან ფეხი იტკინა და ფილ ჯეკსონი თავს რატომლა აიტკივებდა — კობი მოედნიდან გაიყვანა და ექიმებმა ფეხზე ყინულები დაადეს.

„ეს იყო ყველაზე უცნაური თამაში, რომელშიც მონაწილეობა მიმიღია — თქვა ნამატჩევს კობი ბრაიანტმა — პირველად მოხდა, რომ ტრავმისა და ფეხზე ყინულის დადების შემდეგ კვლავ მოედანზე დავბრუნდი.“

ფილ ჯონსონს სხვა გზა არ ჰქონდა და ტრავმირებული ბრაიანტი მოედანზე დაუბრუნა, თორემ ისეთ თამაშს წააგებდა, ნბა-ს ისტორიაში ანალოგი რომ არ მოეძებნება.

დასრულებამდე 9 წუთით ადრე 27 ქულით ჩამორჩენილი „ჰიუსტონი“ სირენამდე 1,40 წუთით ადრე 2 ქულით მიუახლოვდა დაარხეინებულ „ლეიკერსს“. როგორც ვთქვით, ვან განდიც შეგუებული იყო მარცხს და გუნდის ლიდერები დაასვენა, თუმც სამარქაფოებმა ისე გამოიდეს თავი, რომ თამაშს ინტრიგა დაუბრუნდა და მერე როგორი.

ლუთერ ჰედმა, რომელიც იმიტომ იმყოფებოდა მოედანზე, რომ ტრეისი მაკგრეიდი ტრამვირებული იყო, როგორც იტყვიან, თავი გაიგიჟა და „ჰიუსტონმა“ მისი ჩაუქობით გაიცოცხლა შანსი. მაგრამ ყველაფერი მაინც ლოსანჯელესელებისთვის იღბლიანად დამთავრდა. მოედანზე დაბრუნებულმა კობი ბრაიანტმა იმდენი ქნა, რომ ლეიკერსელებს სამარცხვინო წაგება აარიდა.

ირაკლი პერტაია

ასამბლეის ნაცვლად აღმასკომი

ოლიმპიადამდე ახალგაზრდული ფესტივალი

ბრიუსელში ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის ყოველწლიური ასამბლეა გაიმართა, რომლის მასპინძლობის პრეტენზიას თბილისიც აცხადებდა, რის თაობაზეც, თავის დროზე, ოფიციალური განაცხადი გააკეთა, მაგრამ...

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილთან საუბარი, რომელიც ბრიუსელის ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობდა, სწორედ იმ ამბის გახსენებით დავიწყეთ



— ჩვენი დიდი სურვილი იყო, რომ ამ ასამბლეისთვის გვემასპინძლა, რაზეც კიდევ რამდენიმე ქალაქი, მათ შორის ბრიუსელიც გამოთქვამდა პრეტენზიას — გვეუბნება *ემზარ ზენაიშვილი* — მერე აღმოჩნდა, რომ ბელგიის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს წლეულს დაფუძნების 100 წლისთავი უსრულდება და ბრიუსელს ეწადა, ეს სესია ამ საუკუნოვანი იუბილესთვის დაემთხვია, რაც ბუნებრივი სურვილი იყო. ჩვენ რომ ბელგიელთა ადგილზე წარმოვიდგინეთ თავი, უმალ თბილისის კანდიდატურის მოხსნა გადავწყვიტეთ ბრიუსელის სასარგებლოდ, რაც ყველამ ლამაზ ჟესტად აღიქვა...

— მსგავს ინიციატივაზე აღარ ფიქრობთ?

— რა თქმა უნდა, ასეთი სურვილი სულაც არ გაგვნელებია. სხვა რომ არაფერი, ამ ძალზე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის ასამბლეის მასპინძლობა ჩვენი ქვეყნის იმიჯს მეტად წაადგება. თუმცა მანამდე სხვა სურვილიც გაგვიჩნდა. გვინდა, ამავე ორგანიზაციის აღმასკომის სხდომას თბილისში ვუმასპინძლოთ. ამის თაობაზე იქაურ დიდმოხელეებთან ნიადაგი მოვსინჯეთ და ჩვენი ინიციატივა, მგონი, საინტერესოდ ეჩვენათ. ამიტომ გამორიცხული არაა, რომ ჯაისად ამ ორგანიზაციის აღმასკომის სხდომას ვუმასპინძლოთ.

— ბრიუსელში გამართული ასამბლეა რითი იყო საინტერესო?

— ეს ასამბლეა, უპირველეს ყოვლისა, იმით იყო საინტერესო, რომ მსგავსი ღონისძიება პირველი იყო ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის პრეზიდენტისთვის, ჩვენი და საერთოდ, საქართველოს დიდი მეგობრის, ირლანდიელი პატრიკ ჰიკისთვის, ვინაც შარშან ამ პოსტზე იტალიელი მარიო პესკანტე შეცვალა.

ასამბლეას ერთგვარ ლაიტმოტივად გასდევდა ბელგიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საუკუნოვანი იუბილეს აღნიშვნა. გარდა იმისა, რომ ასამბლეის მუშაობაში ევროპის ყველა ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, იყვნენ ამერიკის, აზიის, აფრიკის სახელმწიფოთა ოლიმპიური კომიტეტების მეთაურები, საერთაშორისო სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელები.

ბუნებრივია, ასამბლეას ესწრებოდა თავად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, დოქტორი ჟაკ როგი, რომელიც ბელგიელია. ასამბლეის გახსნას დესწრო ბელგიის მეფე ალბერტი, რამაც ამ ღონისძიებას წონა შემატა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად მოისმინეს მომავალი პეკინისა და ლონდონის ოლიმპიური თამაშების, აგრეთვე ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამზადისის საკითხები; მოისმინეს აგრეთვე 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პრეტენდენტთა: ზალცბურგის, პიონჩანისა და სოჭის წარმომადგენელთა ინფორმაციებიც...

— ჩვენთვის ერთიორად საინტერესოა, თუ ამ სამიდან ვის დარჩება გამარჯვება, რადგან ამ ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბორჯომიც იბრძოდა.

— ძნელი სათქმელია, ვის დარჩება გამარჯვება, მაგრამ აშკარაა, რომ სოჭი ძალზე სერიოზულად იბრძვის, რაზეც მისი დელეგაციის ფრიად შთამბეჭდავი წარმომადგენლობაც მეტყველებდა. აგრეთვე ის კულუარული საუბრები, რომლებიც იქ იყო. სოჭელები სახელმწიფოსგან უდიდეს მხარდაჭერას გრძნობენ. გამარჯვებისთვის უზარმაზარი სახსრები ჩაიდო და კვლავაც ჩაიდება. რუსეთის სერიოზულ ზრახვებზე მეტყველებს ვლადიმერ პუტინთან ზამთრის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციების ხელმძღვანელთა ორი თვის წინანდელი სტუმრობა, თუმცა როცა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის საბოლოო მოცილე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ვიზუალური მასალა ვიხილეთ, ვფიქრობ, უპირატესობა კორეელთა პიონჩანისკენ იყო.

— ალბათ, ბორჯომის მომავალ ამბიციებზეც იქნებოდა საუბარი, კულარულად მაინც.

— დიახ, იყო ასეთი საუბარი. შემოგვთავაზეს და გვაგრძნობინეს, რომ კარგი იქნება, თუ ოლიმპიადამდე ბორჯომი ევროპის ახალგაზრდობის ტრადიციულ ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლეს, მართლაც ძალიან წაადგება ბორჯომის რეკლამას და ჩვენს გამოცდილებას. ამ საკითხზე ჩვენ ისედაც ვფიქრობდით და გამორიცხული არაა, რომ ამ ფესტივალის მასპინძლობას ვეცადოთ.

ავთანდილ ბუკვიშელი

პრეზიდენტობის კანდიდატი საჭადრაკო ვარსკვლავებს გვპირდება

23 დეკემბერს ჭადრაკის სასახლეში საპრეზიდენტო არჩევნებია. რვა კანდიდატიდან ვახტანგ ბოჭორიძე ერთ-ერთია და გამარჯვების შემთხვევაში ბევრ სასიამოვნო სიახლეს გვპირდება

ვახტანგ ბოჭორიძის პრეზიდენტობის შემთხვევაში მოჭადრაკეები ასეთი მედლებით დაჯილდოვდებიან

— როგორც პრეზიდენტობის კანდიდატს, რა გეგმები გაქვთ?

— ყველა მოჭადრაკეს, ვისაც გარკვეული მიღწევები აქვს, მინდა, რომ დაუფასდეს. ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში შემომაქვს საპატიო მოჭადრაკის ტიტული, რომელიც ამ ხალხს გადაეცემა. იმ მოჭადრაკეებს კი, რომლებიც აქტიურად აღარ მოღვაწეობენ, ფულადი პრემიებიც დაინიშნებათ. ეს მედლები ასევე მიენიჭებათ გარდაცვლილ მოჭადრაკეებსაც და გადაეცემა ქალბატონ ნანა ალექსანდრიას მუზეუმს. გარდა ამისა, მინდა შევხვდე დავით ოქტაშვილს. ძალიან დიდ პატივს ვცემ მსახიობებს და მომღერლებს, მაგრამ არანაკლები ვარსკვლავები ჰყავს ჭადრაკს და მინდა, მათი სახელობის ვარსკვლავი ჭადრაკის სასახლის წინაც გაიხსნას.

ფიდეს დევიზია „ჩვენ ერთი ოჯახი ვართ“ და მსურს, ეს დევიზი ჩვენს ჭადრაკშიც განხორციელდეს.

როგორც წესი, არჩევნებზე მიდიან დაპირებებით. მე არ შევხვედრილვარ არც ერთ მოჭადრაკეს და არ მითხოვია რომ ხმა მომცეს. მიმაჩნია, რომ ფედერაციის პრეზიდენტს უნდა ირჩევდნენ არა დაპირებების და პირადი სიმპათიების საფუძველზე, არამედ კანდიდატის მიერ წარდგენილი პროგრამით, რომელსაც გაგაცნობთ არჩევნების დღეს. არჩევნების დღეს, მექნება აგრეთვე ჩემ მიერ გაკეთებული საქმეების ნუსხა. აუცილებელია, ფედერაციაში შეიქმნას მარკეტინგის სამსახური, რის გარეშეც სახსრების მოძიება თითქმის შეუძლებელია. უნდა მუშაობდეს პრესსამსახურიც.

ამასთანავე მინდა, ვთხოვო გაზეთ „სარბიელის“ რედაქციას და მასმედიის სხვა საშუალებებს, რათა ჭადრაკის ფედერაციას საინფორმაციო მხარდაჭერა გაუწიონ.

— აქამდე ჭადრაკში რას საქმიანობდით და რაიმე მიღწევები თუ გაქვთ?

— ვარ თბილისის სპორტის სამსახურის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის საჭადრაკო სპორტული სკოლის დირექტორის მოადგილე.

2005 წლის დეკემბერში ტრადიციულ ლომაიას სახელობის ტურნირზე მწვრთნელთა შორის პირველი ადგილი დავიკავე.

— ვის მიიჩნევთ მთავარ კონკურენტად?

არ მინდა, გამოვყო რომელიმე კანდიდატი და ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში ნებისმიერთან ვაპირებ მჭიდრო თანამშრომლობას, თუ, რა თქმა უნდა, მათი სურვილიც იქნება.

ჩემი მიზანია, ქართულ ჭადრაკს დაუბრუნდეს ძველი დიდება. ახალგაზრდებიდან ბევრმა არ იცის, რომ 30 წლის განმავლობაში ქალთა შორის უწყვეტად მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ხუთ-ხუთჯერ ჰქონდათ ნონა გაფრინდაშვილს და მაია ჩიბურდანიძეს. არაერთხელ შედგა ქართული ფინალები, სადაც ჩვენს ჩემპიონებს შეხვდნენ ნანა ალექსანდრია და ნანა იოსელიანი. არაერთგზის ყოფილა ქართული გუნდი ოლიმპიური ჩემპიონი.

წარმატების მისაღწევად ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა უნდა გაითავისოს, რომ ეს მარტო თანამდებობა კი არა, არამედ მოვალეობაა ჭადრაკის სამყაროსა და მთლიანად ქართველი ერის წინაშე.

— ფედერაციაში ასე ხშირად რატომ იცვლებიან პრეზიდენტები?

— ჭადრაკის ფედერაციის გადაწყვეტილებით, არჩევნები ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. ჩემი აზრით, საარჩევნო ვადა გასაზრდელია, ხოლო თუ პრეზიდენტი ვერ ასრულებს მოვალეობას, ამ შემთხვევაში უნდა დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები.

— წელს არცთუ კარგი შედეგები გვქონდა ოლიმპიადაზე...

ოლიმპიადაზე მართლაც ვერ გამოვედით კარგად. გუნდს მწვრთნელის გარდა აუცილებლად ესაჭიროება კაპიტანი, რომელსაც სულ სხვა ფუნქცია აკისრია, ვიდრე მწვრთნელს. ამ ოლიმპიადაზე მწვრთნელებმა შეითავსეს კაპიტნობა და ასეთი შედეგებიც ამიტომ მივიღეთ. გარდა ამისა, ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში ნაკრებებს მწვრთნელის და კაპიტნის გარდა აუცილებლად ეყოლება ფსიქოლოგი, რომელიც გუნდისთვის აუცილებელია.

ლაშა გეგეჭკორი

რჩეული მწვრთნელის რჩეული ნაკრები

შოთა ხაბარელისთვის ამოსავალი წერტილი საქართველოს ჩემპიონატია



ᲑᲐᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡᲐᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

2006 წელი ქართულ სპორტში გამორჩეულად წარმატებული ძიუდოისტებისთვის გამოდგა. ზაზა კედელაშვილი ევროპის ჩემპიონი გახდა. სულ ახლახან 20 წლის ადამ ოქრუაშვილმა ევროპის აბსოლუტურ პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ამ ორმა და ნაკრების სხვა წევრებმა მთელი წლის განმავლობაში საერთაშორისო ტურნირებზეც ბლომად მედლები მოაგროვეს. უმაღლეს მწვერვალს კი შოთა ხაბარელის შეგირდებმა ორიოდ თვის წინ, მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე მიაღწიეს — საქართველოს ნაკრებმა იაპონია, საფრანგეთი და რუსეთი უკან მოიტოვა და 2010 წლამდე ოფიციალურად მსოფლიოს უძლიერეს გუნდად მოიხსენიება. ხაბარელთან სასაუბრო ისედაც საკმაოდ დაგვიგროვდა. რამდენიმე დღის წინ კი ერთი სასიამოვნო თემაც შეგვემატა. ევროპის ძიუდოს ფედერაციამ ჩვენი ნაკრების თავკაცი წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა

— **წლევანდელი შედეგების გათვალისწინებით, ასეთი აღიარება ჩემთვის მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა — გვითხრა თბილისში დაბრუნებულმა *შოთა ხაბარელმა*** — წარმატებული სეზონი გვქონდა. ლამის ყველა ტურნირი მედლებით მოვიარეთ. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონობა ხომ, საერთოდ, გვირგვინი იყო, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროპაში არაერთი უძლიერესი სპეციალისტია, დარწმუნებული ვერაფრით ვიქნებოდი, არჩევანს ჩემზე თუ შეაჩერებდნენ. უბედნიერესი ვარ. ეს ხომ მარტო ჩემი გამარჯვება არ არის.

— მიზეზთა გამო, გასული სეზონი ნაკრების ორ ლიდერს — ზურაბ ზვიადაურსა და ნესტორ ხერგიანს ჩაუვარდა. ამის მიუხედავად, გუნდისგან მაინც ელოდით ასეთ გამარჯვებას?

— ყველაზე მეტად სასიხარულო ისაა, რომ ეს პრობლემები ნაკრებს თითქმის არც დასტყობია. ხერგიანმა შეიძლება ჩვეულად ვერ შეძლო თავისი ძალის წარმოჩენა, მაგრამ საერთო წარმატებაში მისი წვლილი მაინც საკმაოდ დიდი იყო. რაც შეეხება ზვიადაურს, ტრავმიანობამ გატანჯა, თუმცა ირაკლი ცირეკიძემ ბრწყინვალედ შეცვალა. ამ წონაში ყველაზე უკეთ გვაქვს საქმე. ასეთ ძლიერ კონკურენციას ყველა წონაში ვინატრებდი.

— ისევ ხერგიანზე გკითხავთ. ათენის ოლიმპიადის შემდეგ სერიოზული წარმატებისთვის აღარ მიუღწევია. უკვე ასაკშია და ბევრის აზრით, ძველებურად ვეღარ ჭიდაობს...

— ამ აზრს ვერ დავეთანხმები. ნესტორ ხერგიანი 60 კილოგრამში დღესაც ერთ-ერთი საუკეთესოა და მისი მომავალშიც გვეიმედება. იანვრიდან პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ეტაპი იწყება და პესიმისტურ განწყობას იმ ტურნირების შედეგები გააქრობს.

— ზვიადაური როდისღა შეძლებს ჩვეულად გაბრწყინებას?

— ზურა ბოლო დროს სრული დატვირთვით ვარჯიშობს. ახლახან ქართულ-ფრანგული შეკრებაც სრულყოფილად გაიარა და ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ოპტიმალურ ფორმას უახლოვდება. რაც მთავარია, თავად მოენატრა ტატამი და სატურნირო ციებ-ცხელება.

— მაინც როდის დაბრუნდება?

— სეზონს 17-18 დეკემბერს საქართველოს ჩემპიონატი დახურავს და მასზე აუცილებლად იჭიდავებს. ასე რომ, ვისაც ზვიადაურის ტატამზე ნახვა მოენატრა, ვერის ბაღში მობრძანდეს.

— ცირეკიძეც იჭიდავებს?

— რა თქმა უნდა. ამ ჩემპიონატს უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ. შედეგებით სამომავალწლო ნაკრები უნდა დაკომპლექტდეს, ამიტომ ყველა უძლიერესი იჭიდავებს. გამონაკლისები ზაზა კედელაშვილი და დავით ქევხიშვილი იქნებიან. ორივე ტრავმას იშუშებს. ტატამს 25-26 იანვარს თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე დაუბრუნდებიან.

— 2007 წლის სეზონი წლევანდელზე ბევრად დატვირთული და მძიმე იქნება. სალიცენზიო ტურნირებზე წასაყვანი შემადგენლობებიც საქართველოს ჩემპიონატის შედეგებით გამოიკვეთება?

— აუცილებლად. საქართველოს ჩემპიონატზე ოთხეულში შესულები ავტომატურად ნაკრების კანდიდატები გახდებიან. თბილისის ტურნირზე ამ ოთხეულებს დავაყენებთ და უკეთ დავაკვირდებით. მერე კი გადავწყვეტთ, ვის რომელ ტურნირზე ვიახლებთ. მომავალი სეზონი მართლაც უმძიმესი იქნება. სალიცენზიო შეჯიბრების გარდა, შემოდგომაზე მსოფლიოს ჩემპიონატიც გველის.

— ზაზა კედელაშვილი წლის საუკეთესო სპორტსმენობის მთავარი კანდიდატია...

— პირადად ჩემი აზრით და ზოგადადაც, შედეგების გათვალისწინებით, ზაზას ულაპარაკოდ ეკუთვნის საქართველოს 2006 წლის საუკეთესოს ტიტული. გარდა იმისა, რომ ევროპის ერთადერთი ჩემპიონია, მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონობაში ლომის წილი დაიდო. ყველა შეხვედრა ხომ მოიგო, ამასთან, პირველსავე წრეში მძიმე ტრავმა მიიღო და ტატამზე რომ აღარ გამოსულიყო, საყვედურს ვერავინ ეტყოდა.

— და ბოლოს, საინტერესოა ევროპის საუკეთესო მწვრთნელის მიერ დასახელებული 2006 წლის ევროპის ნაკრები...

— სიამოვნებით. 60 კილოგრამი — ბრიტანელი კრეიგ ფელონი, 66 კგ — ზაზა კედელაშვილი, 73 კგ — დავით ქევხიშვილი, 81 კგ — ჰოლანდიელი ჯილომ ელმონტი, 90 კგ — ზურაბ ზვიადაური, 100 კგ — რუსი რუსლან გასიმოვი და +100 კგ — რუსი ალექსანდრ მიხაილინი. თუ გნებავთ, მსოფლიოს ნაკრებსაც გეტყვით.

— რა თქმა უნდა.

— კედელაშვილს, ელმონტსა და ზვიადაურს აქაც დავტოვებ. ფელონს იაპონელ ტადაჰირო ნომურათი ჩავანაცვლებ, ქევხიშვილს — კორეელი ვონ ჰი ლით, გასიმოვს — იაპონელი კეიჯი სუძუკით, ხოლო მიხაილინს — კიდევ ერთი იაპონელით, კოსეი ინოეთი.

ᲝᲗᲐᲠ ᲛᲐᲦᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

მსოფლიოს თასი

ᲞᲝᲜᲔ/ᲕᲐᲚ ᲓᲔ ᲐᲝᲡᲢᲐ (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ). 13 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲕᲘᲠᲞᲘᲡ VIP ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

AFP ᲙᲝᲜᲓᲝᲡᲐᲜ

ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ სამკვირიანი შესვენების შემდეგ ბარის მოთხილამურეთა მსოფლიოს თასის გათამაშება იტალიურ ალპებში განახლდა. იტალიური ეტაპი, წესით, 8 დეკემბერს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ უამინდობის გამო მთელი ხუთი დღით დაგვიანდა და ეტაპის პროგრამაც მნიშვნელოვნად შეიკვეცა.

გუშინ კაცთა და ქალთა ინდივიდუალური რბოლები გაიმართა კლასიკური სტილით, შესაბამისად, 15 და 10 კილომეტრზე. ქალებში დიდი უპირატესობით იმარჯვა ფინელმა ვირპი კუუტუნენმა, რომელმაც ნახევარ წუთზე მეტი მოუგო მეორე ადგილზე გასულ სლოვენიელ პეტრა მაიდიჩს. ამ გამარჯვების შემდეგ კუიტინენი საერთო ჩათვლასაც სათავეში მოექცა და 8 ქულით ჩამოიტოვა ყოფილი ლიდერი, სახელოვანი ნორვეგიელი მარიტ ბიორგენი, რომელმაც გუშინ მხოლოდ მე-17 შედეგი აჩვენა.

კაცთა შეჯიბრში კი ყველაფერი წამებმა გადაწყვიტა. პირველობაზე პრეტენზია თიქმის ნახევარ დუჟინ მოთხილამურეს ჰქონდა და ამათ შორის მაინც ნორვეგიელები გამოირჩეოდნენ, რომლებმაც საბოლოოდ პირველი, მეორე, მეოთხე, მეექვსე და მეშვიდე ადგილები დაიკავეს. საუკეთესო ეიდარ რონანგი იყო და ამ გამარჯვებით მან კიდევ უფრო განიმტკიცა საერთო ჩათვლაში ლიდერობა. გუშინაც მეორე იყო და საერთო ჩათვლაშიც მეორეა ტორ არნე ჰეტლანდი და ერთადერთმა, რუსმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ევგენი დემენტიევმა მოახერხა, რომ მთელი კვარცხლბეკი ნორვეგიული არ ყოფილიყო — ოდბიორნ ჰელმესეტს ზუსტად ეროი წამით აჯობა.

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

15 ᲙᲛ. ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ. ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ

1. ეიდარ რონინგი (ნორვეგია)	39 წთ. 05,0 წმ
2. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია)	39.08,6
3. ევგენი დემენტიევი (რუსეთი)	39.10,4
4. ოდ-ბიორნ ჰელმესეტი (ნორვეგია)	39.11,4
5. ანდერს სიოდერგრენი (შვედეთი)	39.12,2

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

1. ეიდარ რონინგი (ნორვეგია)	332 ქულა
2. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია)	236
3. ოდ-ბიორნ ჰელმესეტი (ნორვეგია)	154
4. იენს არნე სვარტედალი (ნორვეგია)	144
5. ვინსენ ვიტოზი (საფრანგეთი)	110

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

10 ᲙᲛ. ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ. ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ

1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი)	26 წთ. 44,5 წმ.
2. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია)	27.16,6
3. აინო კაისა საარინენი (ფინეთი)	27.34,7
4. იუსტინა კოვალჩიკი (პოლონეთი)	27.44,7
5. კატერინა ნოიმანოვა (ჩეხეთი)	27.47,8

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი)	322 ქულა
2. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია)	314
3. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია)	274
4. კატერინა ნოიმანოვა (ჩეხეთი)	202
5. კრისტინა შმიგუნი (ესტონეთი)	166

ევროპის VII ჩემპიონატი
ქალები. შვედეთი. 7-17 დეკემბერი

მეორე ჯგუფური ეტაპი

პირველი ჯგუფი

გერმანია 34:27 უნგრეთი
პოლონეთი 35:33 მაკედონია
ნორვეგია 39:24 ავსტრია

ნორვეგია	3	0	0	98:67	6
უნგრეთი	2	0	1	99:79	4
გერმანია	2	0	1	86:74	4
პოლონეთი	1	0	2	76:95	2
ავსტრია	1	0	2	75:106	2
მაკედონია	0	0	3	80:93	0

მეორე ჯგუფი

რუსეთი 25:24 საფრანგეთი
ესპანეთი 29:27 ხორვატია
შვედეთი 27:22 დანია

რუსეთი	3	0	0	82:61	6
ესპანეთი	2	0	1	81:78	4
საფრანგეთი	1	0	2	72:73	2
ხორვატია	1	0	2	70:76	2
დანია	1	0	2	69:75	2
შვედეთი	1	0	2	62:73	2

AFP სტოკჰოლმიდან

შვედი სარა ერიკსონი დანიელებმა ვერ შეაჩერეს

შვედური ნოკაუტი

მეორე ჯგუფური ეტაპის პირველივე დღეს უდიდესი სენსაცია მოხდა. მასპინძელთა საშუალო ძალის ნაკრებმა ოლიმპიური ჩემპიონი დანია დაანოკაუტა.

ეს იყო შვედ ხელბურთელთა პირველი გამარჯვება მეზობლებზე 1989 წლის შემდეგ. შვედმა ქალებმა თავიდანვე მწვავედ შეუტიეს უმრისხანეს მეტოქეს და ექვს წუთში 3:0 დაწინაურდნენ. დანიელებმა შუა ტაიმში თანაფარდობა კი აღადგინეს — 5:5, მაგრამ შესვენებისას მასპინძლები იმავე უპირატესობით იყვნენ წინ — 15:12. მეორე ტაიმის შვიდ წუთში სხვაობა შვიდ ბურთამდე გაიზარდა — 19:12 და შვედებს მოგება აღარც გასჭირვებიათ.

ბრწყინვალედ დაიცვა კარი მასპინძელთა კაპიტანმა მადელეინ გრუნდსტრიომმა, რომელმაც 39 ნატყორცნიდან ყოველი მეორე მოიგერია, რაც 49 პროცენტია — ტურნირის უმაღლესი მაჩვენებელი.

საფინალო სასტვენამდე უდაბულესი იყო მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ რუსეთისა და ექსტრიუმფატორ საფრანგეთის(2003) დაპირისპირება. უკვე მერამდენედ გადაარჩინა სლავთა გუნდი მათი 27 წლის ლიდერის ირინა პოლტორაცკაიას ჯადოსნურმა თამაშმა. გასაოცარი მატჩი იყო — რუსები შუა ტაიმში 7:2 ლიდერობდნენ, მაგრამ ექვს წუთში ზედიზედ ხუთი გოლი გაუშვეს და ანგარიშიც გათანაბრდა. კიდევ სამჯერ საყაიმო პოზიციის შემდეგ ფრანგები დაწინაურდნენ — 15:12, თუმც ევგენი ტრეფილოვის გოგოებმა მიყოლებით ექვსჯერ გაუტანეს მეტოქეთა გოლკიპერ-კაპიტან ვალერი ნიკოლას და საქმეც თითქმის მოთავებული ჩანდა, მაგრამ თანაფარდობა მალე აღდგა და თანაბარი ვითარება იყო, ვიდრე საფინალო სასტვენამდე ოთხი წამით ადრე იმ საღამოს რვაჯერ გამტანმა პოლტორაცკაიამ თავისიანებს მორიგი გამარჯვება მოუპოვა.

აღვნიშნავთ ავრეთვე მანამდე მოუგებელთა, მაკედონია — პოლონეთის ჭიდილს, რომელშიც ექსიუგოსლავიელებმა ვერ შეძლეს პირველ ტაიმში მოპოვებული ხუთბურთიანი უპირატესობის შენარჩუნება და დამარცხებულებმა დატოვეს მოედანი უმთავრესად პოლონელთა კაპიტან-სნაიპერ კროლინა კუდლაჩის 17 ზუსტი ტყორცნის წყალობით. ამ სარეკორდო შედეგიანობით კროლინა მეგოლეთა სიაში მეორე პოზიციაზე ავიდა და მხოლოდ ერთი ბურთით ჩამორჩება 35-ჯერ გამტან გერმანელ ნადინ კრაუზეს.

გია ახალაძე

რეგულარული ჩემპიონატი
ჰიჩკოკს ცისფერი ჭაკეტი მოუნდა

12 დეკემბერი

ნიუ ჯერსი 2:3 ბუფალო
0:0 0:1 2:2
0:1 ხეტტი (33), 0:2 აფინოგენოვი (44), 0:3 პომინვილი (46), 1:3 რასმუსენი (60), 2:3 ჯიონტა (60)

ფილადელფია 1:3 რეინჯერსი
1:1 0:1 0:1
0:1 კალენი (7), 1:1 ამბერგერი (8), 1:2 იმონენი (36), 1:3 ნიულანდერი (56)

დეტროიტი 2:3 ოტავა
0:0 2:3 0:0
0:1 სპეცა (22), 0:2 ნილი (26), 0:2 სპეცა (27), 1:3 ლანგო (28), 2:3 დაციუკი (38)

მონრეალი 4:3 ბოსტონი
1:0 1:2 2:1
1:0 მარკოვი (7), 1:1 სავარი (23), 2:1 სამსონოვი (27), 2:2 სავარი (28), 3:2 სამსონოვი (53), 4:2 ლატანდრესი (56), 4:3 ტენკრატი (60)

ტორონტო 5:4 ტამპა
1:2 2:1 2:1
1:0 პონიკაროვსკი (4), 1:1 ალექსეევი (8), 1:2 ლეკავალიე (13), 1:3 რიჩარდსი (21), 2:3 კილგერი (33), 3:3 კილგერი (40), 4:3 ტაკერი (44), 5:3 ონილი (51), 5:4 სენ ლუი (57)

ფლორიდა 4:5 ანაჰაიმი
1:1 1:2 2:2
1:0 ლარმენი (3), 1:1 პერი (10), 1:2 გეტცლაფი (23), 2:2 ჰორტონი (34), 2:3 ბოშმენი (36), 2:4 პრონგერი (44), 3:4 ბაუმისტერი (45), 4:4 სალეი (47), 4:5 პრონგერი (51)

ნეშვილი 3:2 ედმონტონი
0:0 2:2 1:0
1:0 ფიდლერი (21), 2:0 რადულოვი (24), 2:1 პისანი (25), 2:2 ბერჟერონი (25), 3:2 ლეგვანდი (58)

სენტ ლუისი 2:3 ჩიკაგო
0:0 1:0 1:3
1:0 ბეკმანი (36), 1:1 ბონდრა (44), 1:2 ვრბატა (44), 1:3 ჰამილტონი (46), 2:3 უაიტი (59)

დალასი 1:3 კოლუმბუსი
0:0 0:1 1:2
0:1 ვიბორნი (25), 1:1 ბუშე (48), 1:2 ფრიტშე (49), 1:3 ჩიმერა (54)

კალგარი 5:2 მინესოტა
2:1 3:0 0:1
1:0 ტანგეი (4), 1:1 დიუპუი (7), 2:1 იგინლა (20), 3:1 იგინლა (21), 4:1 ფანეფი (24), 5:1 ლენგკოუ (40), 5:2 უაიტი (47)

ლოს ანჯელესი 1:3 სან ხოსე
0:1 0:1 1:1
0:1 ბერნიე (14), 0:2 პაველსკი (29), 0:3 პაველსკი (45), 1:3 ვიშნოვსკი (51)

ვანკუვერი 5:2 ფინიქსი
4:0 1:1 0:1
1:0 მორისონი (9), 2:0 ბეკსა (12), 3:0 ბულისი (13), 4:0 ოლუნდი (18), 5:0 კესლერი (27), 5:1 საპრიკინი (30), 5:2 სკეტჩარდი (60)

კენ ჰიჩკოკი

„ფილადელფიის“ მესვეურები ალბათ მწარედ ნანობენ, გუნდიდან კენ ჰიჩკოკი ასე უცერემონიოდ რომ გაუშვეს — როგორც ჩანს, მთლად ამ კაცის ბრალი არ ყოფილა „მფრინავების“ წარუმატებლობა და კიდევ ცოტა რომ ეცლიათ, ეს მწვრთნელი სიტუაციის გამოსწორებას ნაღდად შეძლებდა.

ახლა ჰიჩკოკი მის მისვლამდე ლიგის ყველაზე უხეირო გუნდად ცნობილ „კოლუმბუსში“ მუშაობს და თან როგორ — უკანასკნელი წლების უმთავრესი აუტსაიდერი სულ უფრო უმატებს და ანგარიშისგასწევი ძალა ხდება. გუშინ კი „ცისფერმა ჭაკეტებმა“ დასავლეთ კონფერენციის ერთ-ერთი მონსტრი „დალასი“ გასვლაზე დამაჯერებლად დასცეს.

სამაგიეროდ, „ფილადელფია“ ისეც ცხრილის ფსკერზეა და გამოსწორების არაფერი ეტყობა — „მფრინავები“ გუშინაც გულუხვი მასპინძლები აღმოჩნდნენ „ნიუ იორკ რეინჯერსთვის“ და მორიგი მარცხი იწვნიეს. „რეინჯერებს“ ლიდერისა და ჩემპიონატის უპირველესი ბომბარდირის იარომირ იაგრის დახმარებაც კი არ დასჭირვებიათ და ახალბედა ფინელი იარკო იმონენის ჩაუქობითაც იოლად გავიდნენ ფონს.

როგორც იქნა, გოლის გემო გაიხსნა სერგეი სამსონოვმა — წლეულს „მონრეალის“ უმთავრეს შენაძენად შერაცხულ რუსს 19 მატჩია, მეტოქის კარი ვერაფრით ვერ დაელაშქრა, მაგრამ გუშინ სამსონოვს განსაკუთრებული მოტივაცია ჰქონდა, რადგანაც თავის ყოფილ გუნდ „ბოსტონს“ ხვდებოდა. რუსმა ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა ღუბლით აღნიშნა, რითაც მორიგი გამარჯვების მოპოვებაში დიდად დაეხმარა „კანადიენსს“.

ამასობაში „ბოსტონის“ ახალბედა და ამომავალ ვარსკვლავ ფილ კესელს, რომელიც „დათვებმა“ წლეულს მეხუთე ნომრად აიყვანეს დრაფტზე, ოპერაცია წარმატებით ჩაუტარეს. ახლაგაზრდა ამერიკელს სიმსივნე ამოაჭრეს და წესით, ყინულს რამდენიმე კვირაში უნდა დაუბრუნდეს.

აი, „ტორონტოს“ უიღბლო სერიამ 19 არა და 7 მატჩი კი გასტანა, რომლებშიც „მეიპლ ლიოზმა“ მხოლოდ კინკილა ქულა აიღო, თუმც კანადელებმა „ტამპასთან“ უაღრესად დაძაბულ და ლამაზ მატჩში მოახერხეს ნავსის გატეხვა.

„კალგარი“ კი საკუთარ მოედანზე თითქმის უძლეველია — „ალებმა“ ზედიზედ მეათე საშინაო შეხვედრა მოიგეს და ამჯერად „მინესოტა“ შეიწირეს. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ჯერომ იგინლა ბრწყინავდა, რომელმაც კარიერის საუკეთესო მაღწევა გაიმეორა და ერთ შეხვედრაში 4 ქულა (2+2) დაგროვა.

კახა ლომაშვილი

მსოფლიოს თასი. მესამე ეტაპი
ჰოხფილცენი (ავსტრია). 13 — 17 დეკემბერი

AFP

ანდრეა ჰენკელი

ქალები

15 კმ. ინდივიდუალური (4 სასროლითი)

1 ანდრეა ჰენკელი (გერმანია)	45 წთ.27,7 წმ (1 აცდენა)
2 მარტინა გლაგოვი (გერმანია)	+50,4 (1)
3 ოქსანა ხვოსტენკო (უკრაინა)	+1.02,8 (0)
4 ჰელენა იონსონი (შვედეთი)	+1.19,0 (1)
5 ეველი საუე (ესტონეთი)	+1.30,3 (1)

საერთო ჩათვლა

1 ანდრეა ჰენკელი (გერმანია)	254
2 კატი ვილჰელმი (გერმანია)	198
3 ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი)	184
4 ლინდა გრუბენი (ნორვეგია)	178
5 მარტინა გლაგოვი (გერმანია)	178

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, არაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, არაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00